საქართველოს
პარლამენტის
კვლევითი
ცენტრი

უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა დანიშვნის (არჩევის) წესი:

შედარებითსამართლებრივი კვლევა

2022

ავტორები
მარიამ გაიპარაშვილი • სალომე ნატროშვილი

შინაარსი

შესავალი 2
შედარებითსამართლებრივი ანალიზი 3
1. საპარლამენტო რესპუბლიკა 3
1.1. ავსტრია 3
1.2. ბულგარეთი 5
1.3. ესტონეთი 7
1.4. ირლანდია 8
1.5. იტალია 9
1.6. ლატვია 10
1.7. ლიეტუვა 12
1.8. საბერძნეთი 12
1.9. სლოვაკეთი 13
1.10. უნგრეთი 14
1.11. ფინეთი 15
1.12. ჩეხეთი 15
1.13. ჩრდილოეთ მაკედონია 16
1.14. ხორვატია 17
2. საპრეზიდენტო რესპუბლიკა 18
2.1. კვიპროსი 18
2.2. პოლონეთი 19
2.3. პორტუგალია 21
2.4. რუმინეთი 21
2.5. საფრანგეთი 23
3. კონსტიტუციური მონარქია 24
3.1. ბელგია 24
3.2. გაერთიანებული სამეფო 25
3.3. დანია 26
3.4. ესპანეთი 27
3.5. კანადა 28
3.6. ნორვეგია 29
3.7. შვედეთი 30
დასკვნა 32
დანართი 33

შესავალი

საქართველოს კონსტიტუციის 59-ე მუხლის თანახმად, *სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელია და მას ახორციელებენ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო და საქართველოს საერთო სასამართლოები.*

სამართლიანი სასამართლო არის მთავარი ინსტრუმენტული უფლება და, შესაბამისად, ყველა სხვა უფლების დაცვის საშუალება. სასამართლო ხელისუფლება კანონის აღსრულებისა და ძალაუფლების სხვა შტოთა (როგორც საკანონმდებლო, ისე აღმასრულებელი) დაბალანსების მთავარი გარანტორია.

კვლევის ძირითადი ნაწილი ეთმობა შედარებითსამართლებრივ ანალიზს, რომლის ფარგლებშიც ცენტრმა შეისწავლა საუკეთესო პრაქტიკა. ამასთან, მან შეკითხვით მიმართა ECPRD-ს (The European Centre for Parliamentary Research and Documentation) და წევრ სახელმწიფოთა პარლამენტებიდან გამოითხოვა ინფორმაცია. შესაბამისად, კვლევა სრულად აანალიზებს შემდეგი ქვეყნების გამოცდილებას: **ავსტრია, ბელგია, ბულგარეთი, გაერთიანებული სამეფო, დანია, ესპანეთი, ესტონეთი, ირლანდია, იტალია, კანადა, კვიპროსი, ლატვია, ლიეტუვა, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, საბერძნეთი, საფრანგეთი, სლოვაკეთი, უნგრეთი, ფინეთი, ჩეხეთი, ჩრდილოეთ მაკედონია, შვედეთი, ხორვატია.**

საერთო მახასიათებლების გამოსაკვეთად, ქვეყნების პრაქტიკა დაყოფილია მმართველობის ფორმების მიხედვით. ამასთან, კვლევას **დანართის** სახით ახლავს ცხრილი, რომელიც მოკლედ აღწერს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნის წესებსა და კრიტერიუმებს ამ ქვეყნებში.

შედარებითსამართლებრივი ანალიზი

მოსამართლეთა დანიშვნის წესსა და პრინციპებს, რომლებიც, თავის მხრივ, პირდაპირ უკავშირდება დამოუკიდებლობას, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. საერთაშორისო კონსენსუსი არსებობს საკითხზე, რომ ეს პროცესი თავისუფალი უნდა იყოს პოლიტიკური ზეგავლენისგან.[1] აქედან გამომდინარე, სასამართლო სისტემის რეფორმის საკვანძო საკითხებია:

- ვინ ირჩევს/ამტკიცებს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს და სათანადოდ უზრუნველყოფილია თუ არა დამოუკიდებლობა;
- რა პროცედურის დაცვით ირჩევენ მოსამართლეებს და უზრუნველყოფილია თუ არა თანასწორი მოპყრობა;
- რა კრიტერიუმები და მოთხოვნებია დაწესებული კანდიდატებისთვის.

ჩამოთვლილი საკითხების გასაანალიზებლად, ჩატარდა შედარებითსამართლებრივი კვლევა. ქვემოთ წარმოდგენილია დანიშვნის (არჩევის) წესის მოდელები და კანდიდატებისთვის დაწესებული კრიტერიუმები სხვადასხვა ქვეყანაში.

1. საპარლამენტო რესპუბლიკა

1.1. ავსტრია

ავსტრიაში უზენაესი სასამართლო სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეთა განმხილველი უმაღლესი ორგანოა.[2] ამასთან, დამოუკიდებლად არსებობს უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოც, კონსტიტუციურ დავებს კი საკონსტიტუციო სასამართლო განიხილავს.

ქვეყნის კანონმდებლობით, პირველი ინსტანციის მოსამართლის თანამდებობის დასაკავებლად, დადგენილია ზოგადი კრიტერიუმები.[3] კერძოდ, პირის მოსამართლეობისთვის სავალდებულო წინაპირობაა კანდიდატი მოსამართლის (*candidate judge*) გამოცდილების ქონა, რასაც, თავის მხრივ, რამდენიმე წინაპირობა აქვს:[4] კანდიდატ მოსამართლედ დანიშვნამდე, პირი აბარებს ზეპირ და წერილობით გამოცდას, ასევე, მას ამოწმებს დამოუკიდებელი ფსიქოლოგი (*psychological aptitude test*). კანდიდატ მოსამართლედ დანიშვნა მოიცავს მოსამართლეობისთვის მომზადების პერიოდს (*training period*)[5], რომელიც, როგორც წესი, 4 წელი

1. Ron Levy, Judicial Selection: Trust and Reform, (2007) University of British Columbia Law Review 40(1), 195-249, გვ. 71, იხ: https://papers.ssrn.com/sol3/papers.cfm?abstract_id=1170742

2. იხ: https://www.ogh.gv.at/en/

3. Federal Ministry of Justice, The Austrian Judicial System (2018) გვ. 29; მუხლი 86.2 მოსამართლის თანამდებობასთან შეუთავსებლობის შესახებ, B-VG.

4. იქვე, *Completion of university studies, Austrian citizenship, aptitude regarding subject matter and character, physical fitness, the required social skills for the profession of a judge, as well as a five-month traineeship at court are prerequisites for being admitted to the preparatory service for becoming a judge. When deciding on admission, the training judges during the traineeship and the head of the trainee courses are also heard.*

5. იქვე, The traineeship at court is included in this training period. The training period is spent at a district court and a court of first

გრძელდება. ამ ვადის გასვლის შემდეგ, კანდიდატი აბარებს მოსამართლის ზეპირ და წერილობით გამოცდას. წარმატებით ჩაბარებისა და 4-წლიანი პერიოდის სათანადოდ დასრულების შემთხვევაში, მას შეუძლია, განაცხადი გააკეთოს მოსამართლის (*tenured judge*) ვაკანტურ პოზიციაზე. თუ მიიღება დადებითი გადაწყვეტილება, იგი ამ პოზიციაზე უვადოდ განწესდება.[6]

უზენაესი სასამართლო დაკომპლექტებულია 60 მოსამართლით (რომელთა შორის ერთი პრეზიდენტია და ორი - ვიცეპრეზიდენტი).[7] მათ **ნიშნავს ქვეყნის პრეზიდენტი, იუსტიციის მინისტრის წარდგინებით.**[8] ინფორმაცია ვაკანტური თანამდებობის შესახებ განთავსდება საიტზე და განაცხადი ეგზავნება ან მინისტრს, ან სასამართლოს პრეზიდენტს. თითოეული ვაკანტური თანამდებობისთვის სამ კანდიდატს არჩევს სასამართლო (*Personnel Panel*)[9] და წარუდგენს მინისტრს (ეს წესი არ ეხება პრეზიდენტისა და ვიცეპრეზიდენტის თანამდებობებს).[10] *Personnel Panel*-ს აქვს უფლება, დანიშნოს ერთ კანდიდატთან ინტერვიუ/გასაუბრება და ამის თაობაზე აცნობოს სხვა კანდიდატებს. ასეთ შემთხვევაში, სხვა კანდიდატებსაც აქვთ უფლება, მოითხოვონ ინტერვიუ. გასაუბრების ჩანაწერი ერთვის მინისტრისადმი წარდგინებას.

უზენაეს სასამართლოში დასანიშნ კანდიდატთა რანჟირება ხდება **ზოგადი კრიტერიუმების** მიხედვით:

- მოწმდება სოციალური უნარები, სამოსამართლო უნარები და გამოცდილება;
- ასევე მნიშვნელოვანია რეგიონული წარმომადგენლობა და პოზიტიური ღონისძიებები ქალების მიმართ.

Personnel Panel ვალდებულია, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება და ახსნას, თუ რატომ შეეფერება კანდიდატი ვაკანტურ თანამდებობას.

სასამართლოს წარდგინებას სარეკომენდაციო სახე აქვს და, დამკვიდრებული პრაქტიკის თანახმად, მინისტრი და პრეზიდენტი ეთანხმებიან Personnel Panel-ის კანდიდატურებს. თუ მინისტრი არ გაითვალისწინებს რომელიმე მათგანს, ის სათანადო არგუმენტებს წარუდგენს სასამართლოს. თავის მხრივ, სასამართლო უფლებამოსილია, 14 დღის ვადაში გამოთქვას მოსაზრებები მინისტრის პოზიციაზე. ამასთან, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით, მინისტრს შეუძლია, პირდაპირ წარადგინოს პრეზიდენტის/ვიცეპრეზიდენტის კანდიდატები, სასამართლოს რეკომენდაციების გარეშე.[11]

მოსამართლეები, რომლებიც არ ინიშნებიან ვაკანტურ თანამდებობაზე, ვერ ასაჩივრებენ ამ გადაწყვეტილებას. სპეციალურ ორგანოში[12] გასაჩივრება დასა-

---

instance, with a public prosecution office, in a prison, as well as with a lawyer or notary public, or with the Financial Procurator's Office, and with a victim protection or public welfare institution.

6. იქვე, Upon proposal by the competent staff panels, applicants are appointed as judges for an indefinite period of time. The appointment is reserved to the Federal President, who has delegated this privilege to the Federal Minister of Justice for most of the judge's positions.

7. იხ: https://www.ogh.gv.at/en/the-supreme-court-of-justice/position-and-functions/

8. კონსტიტუციის (Bundes-Verfassungsgesetz B-VG) 86-ე და 67-ე მუხლები; Supreme Court Act (Bundesgesetz über den Obersten Gerichtshof), იხ: https://bit.ly/3F9efKL

9. The Personnel Panel is an independent body and consists of five members, the President and the Vice-President of the Supreme Court (the one of the two Vice-Presidents who served longer) and three other judges of the Supreme Court elected by all the judges of the Supreme Court for a period of four years, § 36 RStDG, იხ: https://bit.ly/3C3pD9a

10. Judges and Public Prosecutor Service Act – Richter- und Staatsanwaltschaftsdienstgesetz (RStDG), § 32.4.

11. VfSlg. 8066/1977, 14.731/1997.

12. Federal Equal Treatment Commission, იხ: https://bit.ly/30dJdlS

შვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კანდიდატის დაუნიშნაობა განპირობებული იყო დისკრიმინაციული მოტივებით. თუ თანასწორობის ორგანო დაადგენს დისკრიმინაციის ფაქტს, კანდიდატს ეძლევა ფინანსური კომპენსაცია.[13]

1.2. ბულგარეთი

უზენაესი საკასაციო სასამართლო უმაღლეს სასამართლო ზედამხედველობას უწევს კანონების ზუსტ და ერთგვაროვან გამოყენება-განმარტებას ყველა სასამართლოს მიერ. ეს უწყება უმაღლესი სასამართლო ინსტანციაა სისხლის სამართლისა და სამოქალაქო საქმეებში, თუმცა ბულგარეთში ფუნქციონირებს უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოც. უზენაესი საკასაციო სასამართლოს პლენუმის შემადგენლობაში შედის ყველა მოსამართლე, გარდა მივლინებულისა. <u>უზენაესი საკასაციო სასამართლოს პლენუმი:</u>

- უსმენს სასამართლოს თავმჯდომარეობის კანდიდატებს და აფასებს მათ კომპეტენტურობას, საკუთარი პოზიციის გამოსახატავად;
- განსაზღვრავს კოლეგიების შემადგენლობას, ასევე, დანაყოფების რაოდენობასა და შემადგენლობას;
- უსმენს სასამართლოს თავმჯდომარის მიერ მოადგილედ წარდგენილ კანდიდატებს და აფასებს მათ კომპეტენტურობას, საკუთარი პოზიციის გამოსახატავად;
- ისმენს კოლეგიების თავმჯდომარეობის კანდიდატებს;
- იღებს წესებს სასამართლოს თავმჯდომარის, მისი მოადგილეების, კოლეგიების თავმჯდომარეების, უზენაესი საკასაციო სასამართლოს მოსამართლეთა, მათგან, ვისაც ორგანიზაციული ფუნქციების შესრულება ეკისრებათ, საქმის განსასაზღვრად;
- მინისტრთა საბჭოსა და ეროვნულ ასამბლეას წარუდგენს მოსაზრებებს კანონპროექტებზე, რომლებიც შეეხება უზენაესი საკასაციო სასამართლოს საქმიანობას;
- აყალიბებს დასკვნებს/პოზიციას იმ კონსტიტუციურ საქმეებზე, რომლებშიც უზენაესი საკასაციო სასამართლო წარდგენილია მხარედ;
- განიხილავს და იღებს თავმჯდომარის წლიურ ანგარიშს უზენაესი საკასაციო სასამართლოს საქმიანობაზე;
- იღებს საკუთარი საქმიანობის შიდაორგანიზაციულ წესებს.

უზენაესი საკასაციო სასამართლოს თავმჯდომარე ასრულებს უზენაესი საკასაციო სასამართლოს საერთო ორგანიზაციულ და ადმინისტრაციულ მითითებებს, რისთვისაც ის:

- იწვევს და უძღვება კოლეგიების საერთო კრებებსა და უზენაესი საკასაციო სასამართლოს პლენუმის სხდომებს, ან ამას ავალებს თავის მოადგილეებს;
- წარადგენს შუამდგომლობებს განმარტებითი გადაწყვეტილებებისა და დადგენილებების მიღებაზე;

13. Federal Equal Treatment Act (Bundes-Gleichbehandlungsgesetz – B-GlBG) § 17, ob: https://bit.ly/3HciAie

- თავის მოადგილეებთან ერთად სთავაზობს უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოს პლენუმს მოსამართლეთა განაწილებას შესაბამისი განყოფილებების მიხედვით;
- უზენაესი საკასაციო სასამართლოს მოსამართლეთაგან ნიშნავს სამმართველოს თავმჯდომარეებს, 5 წლის ვადით;
- კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში, უძღვება სასამართლო კოლეგიებს და შეუძლია მათთვის საქმეთა განაწილება შემთხვევით შერჩევის პრინციპით;
- პირადად ამოწმებს სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეთა საქმიანობის ორგანიზებას, ან ასეთ ინსპექტირებას ავალებს საკასაციო სასამართლოს რომელიმე მოსამართლეს;
- უზენაესი საკასაციო და სააპელაციო სასამართლოების მოსამართლეებს იწვევს შემოწმების ოქმის განსახილველად;
- ხელმძღვანელობს და აკონტროლებს მოსამართლეთა თანაშემწეების მუშაობას; ამტკიცებს სასამართლოს ადმინისტრაციის საშტატო განრიგს; ასევე, ნიშნავს და ათავისუფლებს სასამართლოს თანამშრომლებს;
- ყოველი 6-თვიანი პერიოდის დასრულებისას, ამზადებს შემაჯამებელ ინფორმაციას სასამართლოს საქმიანობის შესახებ, რომელსაც აწვდის უმაღლესი სასამართლო საბჭოს მოსამართლეთა პალატას, უმაღლესი სასამართლოს ინსპექციასა და იუსტიციის მინისტრს. ამასთან, ადგენს უზენაესი საკასაციო სასამართლოს საქმიანობის წლიურ ანგარიშს და აქვეყნებს ვებგვერდზე.

მოსამართლეებს, პროკურორებსა და გამომძიებლებს თანამდებობაზე ნიშნავს, აწინაურებს, მიავლენს და თანამდებობიდან ათავისუფლებს მოსამართლეთა პალატა, ან უმაღლესი სასამართლო საბჭოს პროკურატურის პალატა.

უზენაესი საკასაციო და ადმინისტრაციული სასამართლოების თავმჯდომარეებს, ასევე, გენერალურ პროკურორს, **7 წლის ვადით** ნიშნავს და ათავისუფლებს **რესპუბლიკის პრეზიდენტი, უმაღლესი სასამართლო საბჭოს პლენუმის წარდგინებით.** პრეზიდენტს უფლება არ აქვს, უარი თქვას ასეთი დანიშვნის ან გათავისუფლების განკარგულებაზე მეორე შეთავაზების შემთხვევაში.

უმაღლესი სასამართლო საბჭო შედგება 25 წევრისგან. მისი ex officio წევრები არიან: უზენაესი საკასაციო სასამართლოს თავმჯდომარე, უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოს თავმჯდომარე და გენერალური პროკურორი. საბჭოს წევრობის მთავარი კრიტერიუმებია: მაღალი პროფესიონალიზმი, კეთილსინდისიერება და ადვოკატად მუშაობის 15-წლიანი გამოცდილება. წევრთაგან 11-ს ირჩევს ეროვნული ასამბლეა, 2/3-ის უმრავლესობით, 11-ს კი - სასამართლო ხელისუფლება. პროცესი წარიმართება ბულგარეთის რესპუბლიკის კონსტიტუციითა და კანონით დადგენილი წესით.

კონკურსს ატარებს თემატიკის მიხედვით გამოყოფილი ხუთი წევრისგან შემდგარი საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს ერთი აკადემიური ხარისხის მქონე მეცნიერი, ასევე, 4 მოქმედი მოსამართლე და პროკურორი.

კანდიდატი შეიძლება იყოს მოსამართლე, პროკურორი ან მაგისტრატი გამომძიებელი, რომელსაც აქვს პროკურორად/გამომძიებლად მუშაობის, სულ

მცირე, 8-წლიანი გამოცდილება, ან მოსამართლედ მუშაობის არანაკლებ 5-წლიანი პრაქტიკა. თუ შესაბამის თანამდებობაზე კანდიდატი არ არის წარდგენილი, ასეთი ვაკანსია ივსება სპეციალურად გათვალისწინებული წესით.[14] საკონკურსო კომისია კანდიდატებს აფასებს ზემდგომ სასამართლო ორგანოთა მიერ ჩატარებული უკანასკნელი შეფასებისა და შემოწმების შედეგების მიხედვით. კანდიდატთა საერთო შეფასებას ერთობლივად უძღვებიან იუსტიციის უმაღლეს საბჭოსთან არსებული ინსპექცია (ამოწმებს საკადრო საქმის მონაცემებს) და საკონკურსო კომისია.

ამავდროულად, უნდა დადგინდეს კანდიდატთა გამორჩეული პროფესიული სტატუსი. თანაბარი შეფასების შემთხვევაში, დაინიშნება ის მოსამართლე, პროკურორი ან მაგისტრატი გამომძიებელი, რომელიც მსახურობდა სასამართლო ორგანოთა შესაბამის სისტემაში. თუ კანდიდატებს ასეთ სისტემაში მუშაობის თანაბარი სტაჟი აქვთ, შეირჩევა მოსამართლე. საკონკურსო კომისია ადგენს მემორანდუმს, დასაბუთებული მოსაზრებით კანდიდატთა რეიტინგის შესახებ, შედეგებს კი, საკონკურსო დოკუმენტაციის სრულ კომპლექტთან ერთად, გადასცემს უმაღლესი სასამართლო საბჭოს შესაბამის პალატას. პალატა იღებს ბრძანებაზე გადაწყვეტილებას, რომელიც ექვემდებარება გასაჩივრებას. კანდიდატთა შეფასების რანჟირება, საკონკურსო დოკუმენტაცია და პროფესიული ეთიკის კომისიის დასკვნა გადაეცემა შემფასებელ და საკონკურსო კომისიას.

კომისია უმაღლესი სამოსამართლო საბჭოს შესაბამის პალატას არგუმენტირებულ წინადადებას წარუდგენს კონკრეტულ სასამართლო ორგანოთა თანამდებობებზე უმაღლესი რანგის კანდიდატთა დაწინაურების ან გადაყვანის შესახებ. მოსამართლის, პროკურორის ან გამომძიებელი მაგისტრატის თანამდებობაზე დაწინაურების ან გადაყვანის გადაწყვეტილებას იღებს უმაღლესი სასამართლო საბჭოს შესაბამისი პალატა, რანჟირების მიხედვით ვაკანსიების შევსებამდე. გადაწყვეტილების მიღებისას, პალატა ამოწმებს, რამდენად აკმაყოფილებს უმაღლესი რეიტინგის მქონე კანდიდატი გათვალისწინებულ მოთხოვნებს, მათ შორის, კეთილსინდისიერების კრიტერიუმს; ასევე, ფლობს თუ არა იგი საჭირო პროფესიულ უნარებს. უმაღლესი სამოსამართლო საბჭოს შესაბამისი პალატა თავისი გადაწყვეტილებით უარს ამბობს იმ კანდიდატის დანიშვნაზე, რომელიც ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნებს. ასეთ შემთხვევაში, დაინიშნება შემდეგი შესაფერისი შეფასების მქონე კანდიდატი. გადაწყვეტილება მიიღება ყოველი წინა საკონკურსო პროცედურის დასრულებიდან 9 თვის ვადაში. დაწინაურების ან გადასვლის კონკურსის შედეგად, დაინიშნება ყველაზე მაღალრეიტინგული კანდიდატი, რომლის საბოლოო შეფასება იქნება, სულ მცირე, „ძალიან კარგი - 5.00“.

უმაღლესი სასამართლოს შესაბამისი პალატის გადაწყვეტილების გასაჩივრება შეუძლია ნებისმიერ დაინტერესებულ მხარეს. საჩივარი აჩერებს გადაწყვეტილების აღსრულებას (თუ ამ გადაწყვეტილებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული). უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლო საჯარო მოსმენით განიხილავს საჩივარს და მისი მიღებიდან ერთი თვის ვადაში გამოაქვს გადაწყვეტილება.

1.3. ესტონეთი

უზენაესი სასამართლო ესტონეთის უმაღლესი სასამართლო ორგანოა და დავებს განიხილავს საკასაციო საქმისწარმოებით. ამავე ინსტანციას ევალება კონსტიტუციური კონტროლი და ზედამხედველობაც. უზენაესი სასამართლოს

14. მუხლი 178, კანდიდატის მაღალი შეფასება ზემდგომი მოსამართლის მხრიდან.

შემადგენლობაში არის 19 მოსამართლე. სასამართლო მოიცავს: სამოქალაქო, სისხლის და ადმინისტრაციულ საქმეთა პალატებს; და კონსტიტუციურ სამართლებრივ დავათა განმხილველ პალატას.

სააპელაციო საჩივრები შეიძლება განიხილოს სპეციალურმა (ad hoc) კოლეგიამ (კოლეგიური წესით), ან უზენაესი სასამართლოს სრულმა შემადგენლობამ (en banc - ისეთივე წესით, როგორც განიხილავს საქართველოს უზენაესი სასამართლოს დიდი პალატა).

სასამართლოების აქტის თანახმად, **უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს ნიშნავს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო (რიიგიკოგუ), რესპუბლიკის პრეზიდენტის წარდგინებით და 9 წლის ვადით.** უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ხელმძღვანელობს და წარმოადგენს უზენაეს სასამართლოს. ამასთან, ის **წარუდგენს წინადადებას რიიგიკოგუს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ.**

უზენაესი სასამართლოს **მოსამართლედ შეიძლება დაინიშნოს** გამოცდილი და აღიარებული ადვოკატი, რომელიც:

- არის ესტონეთის მოქალაქე;
- დასრულებული აქვს აკადემიური უმაღლესი განათლების აკრედიტებული სამართლის პროგრამა;
- მაღალ დონეზე ფლობს ესტონურ ენას;
- გამოირჩევა მორალური თვისებებით, ასევე, მოსამართლეობისთვის აუცილებელი უნარებითა და პიროვნული მახასიათებლებით.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს, მისი თავმჯდომარის წარდგინებით, თანამდებობაზე ნიშნავს რიიგიკოგუ. თავად თავმჯდომარე პირველ რიგში განიხილავს უზენაესი სასამართლოსა და სასამართლოთა ადმინისტრაციის საბჭოს აზრს კანდიდატის შესახებ. სასამართლოების შესახებ კანონი ადგენს, რომ მოსამართლეები თანამდებობაზე ინიშნებიან საჯარო კონკურსის საფუძველზე. რიიგიკოგუს რეგლამენტის თანახმად, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე და მოსამართლეები თანამდებობაზე ინიშნებიან ფარული კენჭისყრით, გადაწყვეტილებები კი მიიღება ხმათა უმრავლესობით.

1.4. ირლანდია

ირლანდიის სასამართლოების შესახებ კანონის (დამატებითი დებულებები) მიხედვით, უზენაეს **სასამართლოში შეიძლება დაინიშნოს:**

- სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე ან/და მოსამართლე;
- უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ან/და მოსამართლე;
- რაიონული სასამართლოს მოსამართლე, რომელიც ამ სასამართლოში მსახურობდა არანაკლებ 2 წლის განმავლობაში;
- პირი, რომელიც დანიშვნამდე 2 წლის განმავლობაში იყო:

  - ევროკავშირის სასამართლოს მოსამართლე ან გენერალური ადვოკატი;

- ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლე;
- მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლე;
- სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლე; ან საერთაშორისო ტრიბუნალის მოსამართლე.

(დანიშვნამდე 2-წლიანი უწყვეტი სტაჟის გარდა, სავალდებულოა, ასეთი პირი იყოს პრაქტიკოსი ადვოკატი, რომელსაც აქვს არანაკლებ 12-წლიანი სამუშაო გამოცდილება).

მოქმედი კონსტიტუციური დებულებების თანახმად, მთავრობის ფუნქციაა, გადაწყვიტოს, ვინ დაინიშნება უზენაეს სასამართლოში. **ირლანდიის პრეზიდენტი მთავრობის წარდგინებით ნიშნავს მოსამართლეებს.**

პირს, რომელიც ჯერ არ არის მოსამართლე და სურს, განიხილებოდეს უზენაეს სასამართლოში დასანიშნ კანდიდატად, შეუძლია მიმართოს სამოსამართლო დანიშვნების მრჩეველთა საბჭოს (JAAB) და მოითხოვოს მისთვის რეკომენდაციის გაწევა. JAAB შეიქმნა სასამართლოებისა და სასამართლო ოფიცრების კანონის (1995) შესაბამისად.[15] ეს არის დამოუკიდებელი საკონსულტაციო საბჭო, რომელსაც თავმჯდომარეობს უზენაესი სასამართლო. იურისდიქციის თითოეული დონის 4 პრეზიდენტი (რეგიონული, რაიონული, უმაღლესი და სააპელაციო სასამართლოები) საბჭოს *ex officio* წევრები არიან. მიუხედავად იმისა, რომ საბჭოს წევრთა უმრავლესობას მოსამართლეები შეადგენენ, ორი მათგანი გახლავთ იურიდიული პროფესიის წრეებიდან, ხოლო სამი არ არის ადვოკატი. JAAB განიხილავს ყველა განცხადებას და ადგენს იმ პირთა სიას, რომლებსაც კვალიფიციურად მიიჩნევს დანიშვნისთვის. ეს სია გადაეგზავნება მთავრობას, რომელიც, როგორც წესი, შემოიფარგლება მხოლოდ საბჭოს მიერ დამტკიცებულ პირთა დანიშვნით.

უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო (Oireachtas) იტოვებს უფლება-მოსილებას, მთავრობას დასანიშნად წარუდგინოს პირი, რომელსაც არ მიუმართავს საბჭოსთვის და რომელიც არ განუხილავს საბჭოს. ასეთ შემთხვევაში, ის ოფიციალურ გაზეთში (Iris Oifigiúil) აქვეყნებს შეტყობინებას, რომ პირი მან წარადგინა, JAAB-ის პროცედურის გვერდის ავლით.

ყურადსაღებია, რომ ირლანდიაში ამ დროისთვის შემუშავებული ერთ-ერთი კანონპროექტი მიზნად ისახავს მოსამართლეთა დანიშვნების კომისიის შექმნას, რომელიც ჩაანაცვლებს არსებულ საბჭოს.

1.5. იტალია

იტალიის კონსტიტუციის თანახმად, სასამართლო დამოუკიდებელია საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლებისგან. კანონისა და იუსტიციის სამინისტროს 2019 წლის 17 აპრილის დადგენილების შესაბამისად, უზენაესი სასამართლო შემადგენლობაშია: 6 სამოქალაქო და 7 სისხლის სამართლის განყოფილება, ჯამში, 356 მრჩეველით; 59 განყოფილების პრეზიდენტი; და პირველი და დამხმარე პრეზიდენტები.[16] მისი ადამიანური რესურსი უნდა შედგებოდეს 756 პირისგან. უზენაეს სასამართლოს აქვს სპეციალური განყოფილებაც, რომელიც აანალიზებს მის პრაქტიკას.

15. ob: http://www.irishstatutebook.ie/1995/en/act/pub/0031/index.html

16. Annual Report of the First President of the Supreme Court of Cassation about the administration of justice in the year 2020, გვ. 51-53.

მოსამართლეები ექვემდებარებიან თვითმმართველი ორგანოს - სასამართლოს უმაღლეს საბჭოს (Consiglio Superiore della Magistratura), რომელიც განსაზღვრავს შემდეგ საკითხებს: მოსამართლეთა დასაქმება; თანამდებობებზე გამწესება, გადაყვანა და დაწინაურება; დისციპლინური პასუხისმგებლობა. დაუშვებელია მოსამართლის თანამდებობიდან გადაყენება ან გათავისუფლება, უფლებამოსილების შეჩერება, ან სხვა სასამართლოში გამწესება, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ასეთ გადაწყვეტილებას იღებს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.

მოსამართლეთა **შერჩევის პროცესს წარმართავს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შეფასების კომიტეტი, რომელიც კანდიდატთა სიას ადგენს** მიღწევების, ასაკის, პროფესიული შესაძლებლობების, შრომისმოყვარეობის, უნარებისა და გამოქვეყნებული ნაშრომების გათვალისწინებით. კომიტეტის მიერ წარდგენილ კანდიდატთა სიაზე მსჯელობის შემდეგ, საბჭო ნიშნავს მოსამართლეებს.

იტალიის უზენაესი სასამართლოს მოსამართლის დასანიშნად, **აუცილებელია** კანდიდატს ჰქონდეს არანაკლებ 16-წლიანი სამუშაო გამოცდილება. საბჭოს წარდგინებით, უზენაესი სასამართლოს **მოსამართლედ შეიძლება დაინიშნონ** სრული პროფესორები და იურისტები, რომლებიც გამოირჩევიან თავიანთი დამსახურებით, აქვთ 15-წლიანი სამუშაო გამოცდილება და აღრიცხულნი არიან უმაღლეს სასამართლოთა სპეციალურ პროფესიულ სიაში. აკადემიურ წარმომადგენელთა და იურისტთა რიცხვი არ უნდა აღემატებოდეს მოსამართლეთა საერთო რაოდენობის მეათედს უზენაეს სასამართლოში.

1.6. ლატვია[17]

ლატვიის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს (*Augstākās tiesa*) ჩამოყალიბების წესი, სტრუქტურა და კომპეტენციები გაწერილია ლატვიის კანონში სასამართლო ხელისუფლების შესახებ (*Latvijas Republikas Likums Par Tiesu Varu*). ამ ნორმის თანახმად, უზენაეს სასამართლოს შეიძლება ეწოდოს სენატიც - ლატვიის საკასაციო სასამართლოს ისტორიული სახელი. მისი ძირითადი ფუნქციებია: საკასაციო ინსტანციის დონეზე მართლმსაჯულების ადმინისტრირება; დისციპლინურ სასამართლოში საქმეების გადასინჯვა; ერთიანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბება; და სამართლებრივი მსჯელობის ჩამოყალიბება. ასევე, დამატებით ფუნქციებში შედის: მართლმსაჯულების საბჭოს საქმიანობის უზრუნველყოფა და სპეციალური საგამოძიებო ქმედებების დადასტურება; საკრედიტო ინსტიტუტების მიერ განკარგვას დაქვემდებარებულიკონფიდენციალური ინფორმაციის გამჟღავნების დაშვება.[18]

ლატვიის უზენაესი სასამართლოს საკასაციო ინსტანცია შედგება სამი დეპარტამენტისგან: სამოქალაქო საქმეთა, სისხლის სამართლის საქმეთა და ადმინისტრაციულ საქმეთა დეპარტამენტები. ისინი უმეტესწილად განიხილავენ საქმეებს, რომლებიც გასაჩივრდა და განხილულია სააპელაციო წესით. თუმცა, რამდენიმე კატეგორიის საქმეზე უზენაესი სასამართლო ითავსებს პირველი ინსტანციის ფუნქციას. ასევე, გარკვეული სახის დავები განიხილება მხოლოდ ადმინისტრაციულ საქმეთა დეპარტამენტში.[19]

ლატვიის უზენაესი სასამართლოს საქმიანობას უძღვება თავმჯდომარე მოსამარ-

17. შენიშვნა: ქვეთავი მოამზადა სსიპ პარლამენტის კვლევითი ცენტრის მთავარმა მკვლევარმა ანა მარჯანიძემ.

18. იხ: https://www.at.gov.lv/en/par-augstako-tiesu/darbiba/darbibas-pamats-un-funkcijas

19. იხ: https://bit.ly/3BOfo8v

თლე, რომელიც ნომინირებულია უზენაესი სასამართლოს პლენარული სესიის (*Plenary Session*) მიერ, მოქმედ სენატორთა შემადგენლობიდან, რასაც მოსდევს მართლმსაჯულების საბჭოს (*Judicial Council*) თანხმობა. საბოლოოდ, თავმჯდომარეს ნიშნავს ლატვიის პარლამენტი (Saeima), 5 წლის ვადით. ერთი და იგივე პირი უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე შეიძლება იყოს ზედიზედ არაუმეტეს ორი ვადით.

თავმჯდომარე მოსამართლის ერთ-ერთი უფლებამოსილებაა, მართლმსაჯულების საბჭოს წარუდგინოს შეთავაზება დეპარტამენტებში სენატორთა რაოდენობაზე. **თავმჯდომარევე ასახელებს კანდიდატებს სენატორებად (უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებად) - რომლებიც უნდა დაამტკიცოს პარლამენტმა (*Saeima*)** - და განსაზღვრავს დეპარტამენტს, სადაც ისინი გამწესდებიან. გარდა ამისა, თავმჯდომარის უფლებამოსილებაა სენატორის გადაყვანა ერთი დეპარტამენტიდან მეორეში, ამ დეპარტამენტის სენატორთა გენერალური ასამბლეის შეთავაზების საფუძველზე. თავმჯდომარე მოსამართლე პარლამენტს (*Saeima*) წარუდგენს შეთავაზებას რომელიმე სენატორის სასამართლოდან გათავისუფლებაზეც - პირადი განცხადების საფუძველზე, სხვა თანამდებობაზე გადანიშვნის გამო, ან კანონით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

უზენაესი სასამართლოს სენატორთა რაოდენობას განსაზღვრავს პარლამენტი (*Saeima*), მართლმსაჯულების საბჭოს რეკომენდაციით. სენატორობის (მოსამართლეობის) კანდიდატს ირჩევენ ღია კონკურსის წესით.

კანდიდატი შეიძლება იყოს:

- რაიონული (საქალაქო) ან რეგიონული სასამართლოს მოსამართლე, არანაკლებ 10-წლიანი სამუშაო გამოცდილებით;
- პირი, რომელიც 15 წლის განმავლობაში ეწევა საგანმანათლებლო მოღვაწეობას სამართლის სფეროში და საქმიანობს როგორც ადვოკატი ან პროკურორი;
- საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი წევრი; ან
- საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლე.

ლატვიის უზენაესი სასამართლოს სენატორს (მოსამართლეს) ნიშნავს პარლამენტი (*Saeima*), საქმიანობის ვადის შეზღუდვის გარეშე. ქვედა ინსტანციის მოსამართლეს უმაღლეს სასამართლოში მოსამართლედ ნიშნავს მართლმსაჯულების საბჭო.[20]

ვენეციის კომისიამ ლატვიის საკანონმდებლო ცვლილებათა პაკეტის ანალიზისას დიდი ყურადღება დაუთმო პარლამენტის როლს მოსამართლეთა დანიშვნაში. დასკვნის თანახმად, ძალთა ბალანსი აუცილებელია, როდესაც პროცესში მონაწილეობს პარლამენტი. ლატვიის შემთხვევაში, ვენეციის კომისიის რეკომენდაციით, დანიშვნის უფლებამოსილება უნდა უკავშირდებოდეს სახელმწიფოს მეთაურს, რადგან პრეზიდენტი უფრო მეტად შეინარჩუნებდა პოლიტიკურ ნეიტრალიტეტს. პროცესში მისასალმებელია მოსამართლეთა საბჭოს (მართლმსაჯულების საბჭოს) ჩართვაც.[21]

20. ob: https://bit.ly/2YjFpPn 83. 26.

21. § 22-23: §22: *The right of appointment ought to remain linked with the head of state. Of course, the president also represents a given political tendency but in most cases he/she will demonstrate greater political reserve and neutrality. It therefore seems that entrusting the head of state with the power to nominate judges is a solution that depoliticizes the entire process of nominating a judge to a much greater degree. §23: [The appointment of judges by the Parliament is] acceptable by European standards, there may be reason to reconsider the possibility of entrusting the President as the appointment authority or by arranging the process of judicial appointments so as to go by submission from the Council of Justice to the President of the Republic (who also is to represent*

1.7. ლიეტუვა

ლიეტუვას კანონმდებლობის თანახმად[22], უზენაესი სასამართლო (Lietuvos Respublikos Aukščiausiasis Teismas) არის საკასაციო სასამართლო. იგი დაკომპლექტებულია 35 მოსამართლით (პრეზიდენტი; სისხლის სამართლის პალატის თავმჯდომარე და 16 მოსამართლე; სამოქალაქო სამართლის პალატის თავჯდომარე და 16 მოსამართლე).[23]

- სასამართლოების შესახებ კანონის 68-ე მუხლის თანახმად, უზენაეს სასამართლოში დასანიშნი პირი:
- უნდა იყოს ლიეტუვას მოქალაქე, კარგი რეპუტაციით;
- აკმაყოფილებდეს სპეციალურ შემოწმებას;[24]
- დარეგისტრირებული იყოს მოსამართლეობის მსურველთა სიაში, ან ჰქონდეს დოქტორის ხარისხი სოციალურ მეცნიერებაში და მოსამართლედ/სამართლის პედაგოგად მუშაობის 10-წლიანი გამოცდილება;
- ვალდებულია, წარადგინოს სამედიცინო ცნობა.

კონსტიტუციის 112-ე მუხლის თანახმად, **უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებსა და პრეზიდენტს ნიშნავს და ათავისუფლებს პარლამენტი, ქვეყნის პრეზიდენტის წარდგინების საფუძველზე.** თავის მხრივ, პრეზიდენტს კანდიდატებზე რეკომენდაციას აძლევს სპეციალური ორგანო (Board of Judges), რომელიც 47 წევრისგან შედგება.[25] პარლამენტსა ან კომიტეტში კანდიდატებთან გასაუბრება საჯაროა. კანონი არ ითვალისწინებს მექანიზმს, რომლითაც კანდიდატები შეძლებენ დანიშვნაზე უარის გადაწყვეტილების გასაჩივრებას.

2020 წლის ცვლილებებამდე, ქვეყნის პრეზიდენტი სასამართლოს პრეზიდენტს თავისი დისკრეციის ფარგლებში წარადგენდა. ცვლილებების შემდეგ, სასამართლოს პრეზიდენტის შესარჩევი პროცედურების გავლა სავალდებულოა. სასამართლოების შესახებ კანონის 791-ე მუხლის თანახმად, უზენაესი სასამართლოს პრეზიდენტისა და პალატის თავმჯდომარის ვაკანტურ პოზიციაზე კანდიდატებს არჩევს სპეციალური კომისია (Selection Commission), მოსამართლეთათვის კანონით დადგენილი კრიტერიუმების მიხედვით. კანდიდატთა პერსონალური და კოგნიტური უნარები ფასდება კანონით გაწერილი პროცედურების შესაბამისად (551-ე მუხლი).

1.8. საბერძნეთი

საბერძნეთში არსებობს სპეციალური იურისდიქციის მქონე უმაღლესი სასამართლო, უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლო, უზენაესი სამოქალაქო და სისხლის სამართლის სასამართლო და აუდიტის სასამართლო, რომლებიც განიხილავენ შესაბამის საქმეებს.

---

all the people) and from the President [of the Parliament]. ob: https://bit.ly/3bH1gTR

22. Republic of Lithuania Law on Courts (No. I-480) Article 23, ob: https://bit.ly/3CdZS66

23. ob: https://www.lat.lt/en/general-information/about-the-court/95

24. *Requirements established by law, which are necessary for issuing a personal security clearance or a permit to work or access classified information.*

25. ex officio (the President of the Supreme Court, the President of the Court of Appeal, the President of the Supreme Administrative Court); Judges elected by the General Meeting of Judges (three from the Supreme Court, two from the Court of Appeal and one from the Supreme Administrative Court, three from all district courts, one from all district administrative courts and four from all district courts).

სპეციალური იურისდიქცია ვრცელდება საკითხებზე, როგორიცაა: საპარლამენტო არჩევნების სასამართლო კონტროლი; რეფერენდუმის ნამდვილობის შემოწმება; ნებისმიერი დავის გადაწყვეტა სასამართლოებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის; დავის გადაწყვეტა საკითხზე, ეწინააღმდეგება თუ არა პარლამენტის მიერ მიღებული დებულების შინაარსი კონსტიტუციას, როდესაც უზენაეს ადმინისტრაციულ სასამართლოსა და უზენაეს სამოქალაქო და სისხლის სამართლის სასამართლოს მიღებული აქვთ ურთიერთგამომრიცხავი გადაწყვეტილებები.

სპეციალური უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობაში არიან: უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოს, უზენაესი სამოქალაქო და სისხლის სამართლის სასამართლოსა და აუდიტის სასამართლოს თავმჯდომარეები.

მოსამართლეთა **შერჩევისთვის აუცილებელია:**

- არსებობდეს ვაკანსია;
- მოსამართლეს ამოეწუროს დაკავებული თანამდებობის ვადა;
- პირს ჰქონდეს უმაღლესი სასამართლოს მოსამართლეობისთვის აუცილებელი კვალიფიკაცია, მათ შორის, შემდეგი მახასიათებლები: ეთიკურობა, ენერგიულობა, განსჯის უნარი, კვალიფიციური შესრულება, სამეცნიერო და სოციალური მზაობა.

კვალიფიკაციის შეფასებისას გასათვალისწინებელია შემოწმების ანგარიშები, ინდივიდუალური დოკუმენტები და სხვა შესაბამისი ინფორმაცია. უმაღლესი სასამართლო საბჭოსა და პლენარული სხდომის გადაწყვეტილებები უნდა დასაბუთდეს. წევრებმა გონივრულად უნდა შეაფასონ კანდიდატთა მიერ მართლმსაჯულების განხორციელების ხარისხი და კვალიფიკაცია.

კანონმდებლობის თანახმად, უზენაეს სასამართლოში მოსამართლის თანამდებობაზე პირს აწინაურებს **პრეზიდენტი, უმაღლესი სასამართლო საბჭოს წარდგინების საფუძველზე.** უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შერჩევის პროცედურაში მონაწილეობენ: იუსტიციის მინისტრი, პარლამენტის პრეზიდენტთა კონფერენცია და კაბინეტი.

1.9. სლოვაკეთი

უზენაესი სასამართლოს პრეზიდენტს ირჩევს სპეციალური ორგანო - საბჭო (*Judicial Council*), რომლის შემადგენლობაშიც არის: 9 არჩეული მოსამართლე, პარლამენტის მიერ არჩეული 3 წევრი და ქვეყნის პრეზიდენტისა და მთავრობის მიერ დანიშნული 3-3 წევრი.

მოსამართლე უნდა **აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერუმებს:**

- იყოს სამართლის მაგისტრი, სულ მცირე, 15-წლიანი სამუშაო გამოცდილებით სამართლის სფეროში;
- სლოვაკეთის მუდმივი მცხოვრები, არანაკლებ 30 წლის;
- არ იყოს ნასამართლევი.

მოსამართლის ვაკანტური თანამდებობისთვის კანდიდატებს ირჩევს შესარჩევი

კომისია (*selection committee*), რომლის წევრებსაც ბაზიდან ნიშნავს სასამართლოს პრეზიდენტი.[26]

მოსამართლის ვაკანტურ თანამდებობაზე შერჩევის პროცედურა შედგება რამდენიმე ნაწილისგან: კაზუსის ამოხსნა (*case study*), გადაწყვეტილების დაწერა, თარგმნა, ფსიქოლოგიური შემოწმება და გასაუბრება. პირველი ორი ეტაპი ეხება არამოსამართლე კანდიდატებს, ასევე, იმ მოსამართლე კანდიდატებს, რომელთაც დაბალი შეფასება აქვთ (*evaluation grades „good" or worse*). გასაუბრება საჯაროა და იწერება. კანდიდატთა რანჟირება ხდება შეფასებული ქულების მიხედვით. თუ მათ თანაბარი ქულები აქვთ, გადაწყვეტილება მიიღება შემთხვევითობის პრინციპით (*decided by a lot*). შესარჩევი კომისია თითოეულ კანდიდატს უყრის კენჭს დასანიშნი რეკომენდაციის გასაწევად. კენჭისყრისას გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით.

1.10. უნგრეთი

უნგრეთში უზენაესი სასამართლო ორგანოა *Curia (Kúria)*. მოსამართლეთა სამართლებრივი სტატუსისა და ანაზღაურების შესახებ კანონის თანახმად, მოსამართლის სამსახურებრივი სტატუსი ყალიბდება მისი დანიშვნისთანავე.

მოსამართლეებს ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი.

კანდიდატი უნდა **აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:**

- იყოს უნგრეთის ქმედუნარიანი მოქალაქე, არანაკლებ 30 წლის;
- ჰქონდეს უმაღლესი იურიდიული განათლება და საადვოკატო გამოცდის ჩაბარების სერტიფიკატი;
- ჰქონდეს, სულ მცირე, ერთწლიანი მუშაობის გამოცდილება შემდეგ თანამდებობებზე:

  - მოსამართლე, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე, ან პროკურორი;

  - სასამართლოს მდივანი, პროკურორის მოადგილე, ნოტარიუსი ან ადვოკატი;

  - სახელმწიფო მოხელე, ცენტრალური ადმინისტრაციული ორგანოს საჯარო მოხელე, ან იმ თანამდებობის პირი, რომლისთვისაც საჭიროა საადვოკატო ექსპერტიზა;

  - საერთაშორისო ორგანიზაციის, ევროკავშირის სააგენტოს, ან სასამართლო სისტემასთან დაკავშირებულ ორგანოს თანამშრომელი.
- ჩაბარებული ჰქონდეს პროფესიული უნარების გამოცდა, რომელიც მოიცავს სამედიცინო (ფიზიკურ და ფსიქიატრიულ) შეფასებასაც. გამოკვლევა ეხება ფსიქიკური და ფიზიკური ჯანმრთელობის ყველა ასპექტს, რომლებმაც შეიძლება ხელი შეუშალოს ან სერიოზული ზიანი მიაყენოს მოსამართლის საქმიანობას.

26. *The members of the selection committee are always appointed by the president of the court from the database..., so that one member is appointed from candidates nominated by the judicial council and two members are nominated from candidates nominated by the minister (of Justice); one member of the selection committee shall be elected at the request of the president of the court by the judicial council and the relevant college of the court in which the vacancy is filled.*

ვაკანტურ თანამდებობაზე ტარდება საჯარო კონკურსი. მას შემდეგ, რაც ამოიწურება განაცხადების მიღების ვადა, Curia-ს მოსამართლეთა პალატა 15 დღის ვადაში ატარებს გასაუბრებას აპლიკანტებთან, ხოლო განაცხადებს აფასებს Curia-ს პრეზიდენტი. ამის შემდეგ შედგება მსურველთა რანჟირებული სია. სასამართლოს პრეზიდენტი დანიშნული მოსამართლეების შესახებ აცნობებს სასამართლო ხელისუფლების ეროვნული ოფისის პრეზიდენტს. Curia-ს პრეზიდენტს განუსაზღვრელი ვადით ირჩევს პარლამენტი დანიშნულ მოსამართლეთაგან, რომლებიც მუშაობენ, სულ მცირე, 5 წლის განმავლობაში.

1.11. ფინეთი

ფინეთში არსებობს უზენაესი სასამართლო და უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლო. ორივე მათგანი უმაღლესი სასამართლო ორგანოა: უზენაესი სასამართლოს მთავარი ფუნქციაა გადაწყვეტილებათა მიღება სამართლის პრეცედენტულ შემთხვევებზე, ხოლო უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლო სააპელაციო ორგანოა ადმინისტრაციულ დავებში. უზენაესი სასამართლოს აქტისა[27] და უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოს აქტის[28] თანახმად, ეს სასამართლოები დაკომპლექტებულია, სულ მცირე, 15 მოსამართლითა და პრეზიდენტით.

სასამართლოების აქტი[29] მოსამართლეებისთვის ადგენს საკმაოდ **ზოგად კრიტერიუმებს**, კერძოდ:

- კანდიდატი უნდა იყოს ფინეთის მოქალაქე და სამართლის მაგისტრი;
- ჰქონდეს სასამართლოსა ან რელევანტურ სფეროში მუშაობის გამოცდილება.

უზენაეს სასამართლოებს შეუძლიათ, მიმართონ სპეციალურ საბჭოს (*Judicial Appointments Board*) და მოსთხოვონ კანდიდატთა შეფასება. საბჭო აფასებს მათ კვალიფიკაციას.

სასამართლოების აქტის თანახმად, **უზენაესი სასამართლო მოსამართლეთა დასანიშნად წინადადებას წარუდგენს მთავრობას, რომელიც, თავის მხრივ, კანდიდატებს წარუდგენს ქვეყნის პრეზიდენტს.** ფინეთის პრეზიდენტი სასამართლოს პრეზიდენტს ნიშნავს წარდგინების გარეშე. მოსამართლეთა დანიშვნაზე გადაწყვეტილება არ საჩივრდება. ამასთან, პროცედურის არცერთი ნაწილი არ მოიცავს გასაუბრების ან ღია კონკურსის ეტაპებს.

1.12. ჩეხეთი

ჩეხეთის უზენაესი სასამართლო უმაღლესი ორგანოა, რომელიც განიხილავს სამოქალაქო და სისხლის სამართლის საქმეებს. ქვეყანაში არსებობს საკონსტიტუციო და უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლოებიც.[30]

ჩეხეთის უზენაესი სასამართლოს შემადგენლობაში არიან: პრეზიდენტი, ვიცე-

27. Supreme Court Act (26.8.2005/665), ob: https://bit.ly/31Vwq8B
28. Administrative Supreme Court Act (22.12.12.2006/1265), ob: https://bit.ly/3Ha9GSt
29. Chapter 10, Section 2 of the Courts Act (673/2016), ob: https://bit.ly/3ohn8ey
30. ob: https://bit.ly/2TJI16o

პრეზიდენტი, დანაყოფთა ხელმძღვანელები, პანელების თავმჯდომარეები და სხვა მოსამართლეები. **პრეზიდენტსა და ვიცეპრეზიდენტს ნიშნავს ჩეხეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი.** ამასთან, უზენაეს სასამართლოში მოქმედებს საკონსულტაციო ორგანო - მოსამართლეთა საბჭო.[31] ქვეყნის კონსტიტუციის[32] თანახმად, მოსამართლეს უვადოდ **ნიშნავს პრეზიდენტი** და მას, საკუთარი თანხმობის გარეშე, სხვა ტიპის დავებზე ვერ გადაიყვანენ.[33]

1.13. ჩრდილოეთ მაკედონია

სასამართლოების შესახებ კანონის თანახმად, ჩრდილოეთ მაკედონიის რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო ბოლო ინსტანციის წესით განიხილავს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებებს; ასევე, წყვეტს განსჯადობასთან დაკავშირებულ დავებს სხვადასხვა სასამართლოს შორის.

იუსტიციის საბჭო შედგება 15 წევრისგან: უზენაესი სასამართლოს პრეზიდენტი და იუსტიციის მინისტრი (*ex officio* წევრები); მოსამართლეთა მიერ თავიანთი რიგებიდან არჩეული 8 წევრი, რომელთაგან 3 ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელია; 3 წევრს ირჩევს ჩრდილოეთ მაკედონიის რესპუბლიკის ასამბლეა, წარმომადგენლობითი ხმების უმრავლესობით; 2 წევრს კი რესპუბლიკის პრეზიდენტი სთავაზობს ასამბლეას (მათგან ერთი უნდა იყოს ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი).

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და მოსამართლის შერჩევისას, საბჭო გადაწყვეტილებას იღებს იუსტიციის საბჭოს შესახებ კანონის შესაბამისად, რომლის თანახმადაც, ხმების უმრავლესობა უნდა ეკუთვნოდეთ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს.

იუსტიციის საბჭო სასამართლოს თავმჯდომარეს ირჩევს ხმის უფლების მქონე წევრთა საერთო რაოდენობის უმრავლესობით (არანაკლებ 8 ხმით). ამ თანამდებობაზე საბჭო ნიშნავს პირს, რომელიც აკმაყოფილებს სასამართლოების შესახებ კანონით განსაზღვრულ მოთხოვნებსა და კრიტერიუმებს. ხმის უფლების მქონე ყველა წევრი ვალდებულია, ზეპირად, საბჭოს სხდომაზევე მიიღოს გადაწყვეტილება სასამართლოს თავმჯდომარის შერჩევაზე და წერილობით აცნობოს თითოეულ კანდიდატს.

ჩრდილოეთ მაკედონიის რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში **დასანიშნ მოსამართლეს უნდა ჰქონდეს:**

- სააპელაციო სასამართლოში მოსამართლედ მუშაობის არანაკლებ 6-წლიანი გამოცდილება, რომელიც იუსტიციის საბჭომ დადებითად შეაფასა;
- უმაღლესი საექსპერტო და პროფესიული კვალიფიკაცია და კარგი რეპუტაცია;
- საბჭო მხედველობაში იღებს კანდიდატის უწყვეტი განათლების პროცესში ჩართულობასადასამოსამართლოსაქმიანობისხანგრძლივობას.წერილობით და ზეპირ კომუნიკაციის უნარებს, რაც ფასდება გადაწყვეტილებებით;
- ყურადღება ექცევა დამატებითი სამუშაოს შესრულებას საქმეთა გადატვირ-

31. იხ: https://bit.ly/3qb0sNx

32. იხ: https://www.constituteproject.org/constitution/Czech_Republic_2002.pdf

33. იქვე, მუხლები 63, 82 და 93.

თულობის თავიდან აცილების მიზნით ან/და დამატებითი სამუშაოს შესრულება მენტორობისა და სწავლების მიმართულებით.

თუ კანდიდატი მოსამართლეა, იუსტიციის საბჭოს დასკვნას წარუდგენს შესაბამისი სასამართლოს თავმჯდომარე, მოსამართლის მიერ ჩატარებულ სხდომათა გაანალიზების საფუძველზე. კანდიდატთა რანჟირების წესს კანონქვემდებარე აქტით აწესრიგებს იუსტიციის საბჭო. ყველაზე მაღალრეიტინგულ კანდიდატთა სიას, შეფასებების მიხედვით, ამზადებს შესაბამისი სასამართლოს 3-წევრიანი კომისია, რომელიც შერჩეულია წილისყრით.

იუსტიციის საბჭოს შესახებ კანონის თანახმად, საბჭო მოსამართლეს ირჩევს იმ კანდიდატთაგან, რომლებმაც გააკეთეს განაცხადი და აკმაყოფილებენ დადგენილ მოთხოვნებს. კანონმდებლობით ასევე განისაზღვრება შესაბამისი სპეციალიზაციის მიხედვით რანჟირება. კანდიდატს, რომელიც არ შეირჩევა, უფლება აქვს, ინფორმაციის მიღებიდან 8 დღეში გაასაჩივროს გადაწყვეტილება უზენაესი სასამართლოს სააპელაციო საბჭოში.

1.14. ხორვატია

სპეციალური ორგანო - საბჭო (State Judicial Council), რომელიც ათავსებს ინფორმაციას უზენაეს სასამართლოში ვაკანტური თანამდებობის თაობაზე, დაკომპლექტებულია 11 წევრით: 7 მოსამართლე (2 უზენაესი სასამართლოს, 1 პირველი ინსტანციის, 3 რაიონული სასამართლოს და 1 უმაღლესი სასამართლოს); 2 პროფესორი/მკვლევარი; და პარლამენტის 2 წევრი, რომელთაგან ერთ-ერთი წარმოადგენს ოპოზიციას. წევრები ინიშნებიან ერთჯერადად, 4 წლის ვადით. მოსამართლე წევრებს სპეციალური ორგანოები ირჩევენ (*Commission for the Election of Council Members, Candidate Committees and Election Committees*). საბჭოს უფლებამოსილებაში შედის: მოსამართლისა და სასამართლოს პრეზიდენტის დანიშვნა ან/და გათავისუფლება; გადაწყვეტილების მიღება მოსამართლის იმუნიტეტის შესახებ; მოსამართლის გადაყვანა; დისციპლინური წარმოების წარმართვა და სხვა.[34]

უზენაესი სასამართლოს მოსამართლე **შეიძლება გახდეს ადამიანი:**

- რომელსაც აქვს მოსამართლედ ან ადვოკატად მუშაობის სულ მცირე 15-წლიანი გამოცდილება;
- არის უნივერსიტეტის პროფესორი, სამართლის მკვლევარი, ან არის გამორჩეული იურისტი, რომელსაც საადვოკატო გამოცდა აქვს ჩაბარებული;
- აქვს სულ მცირე 20-წლიანი გამოცდილება და არის გამორჩეული პროფესიონალი და გამოირჩევა თავისი ნაშრომებით.

ვაკანტურ თანამდებობაზე მოთხოვნილ ინფორმაციას კანდიდატები წარუდგენენ საბჭოს, რომელიც ამ დოკუმენტებს უგზავნის ქვეყნის პრეზიდენტს. თავის მხრივ, პრეზიდენტი სპეციალური ორგანოებისგან (*General Convention of Judges of the Supreme Court of the Republic of Croatia and the competent committee of the Croatian Parliament*) ითხოვს დასკვნას თითოეულ კანდიდატზე. კანდიდატებს, რომლებიც არ

34. *Participate in training and development of judges and court clerks, adopt the Judicial Assessment Methodology, keep personal records of judges, grant approval to perform other services or work while performing judicial duties and manage and control judges' asset declarations.*

არიან სასამართლო კორპუსიდან, ევალებათ გამოცდის ჩაბარება საბჭოს წინაშე. გამოცდა 150-ქულიანია და გასაუბრების ეტაპზე პირი გადადის, სულ მცირე, 130 ქულით. შეიძლება საბჭომ დაიბაროს უფრო ნაკლებქულიანი მონაწილეებიც, თუ ზღვარს გადალახავს ვაკანტურ თანამდებობებზე ნაკლები რაოდენობის კანდიდატი. გასაუბრებაზე შეკითხვები შეეხება კანდიდატთა გამოცდილებას, ასევე, მოწმდება მათი პასუხისმგებლობა და უნარები. ეს ეტაპი ფასდება მაქსიმუმ 15 ქულით.

საბჭო ქულების ჯამურ რაოდენობას და რანჟირების შედეგებს ათავსებს საიტზე და მიმართავს კომპეტენტურ ორგანოს (*security intelligence service*), რომელიც ამოწმებს ყველაზე მაღალქულიან კანდიდატებს (*security check*). საბჭო ვალდებულია, დაასაბუთოს, რატომ შეესაბამება არჩეული კანდიდატი ვაკანტურ თანამდებობას, თუ: (1) რამდენიმე კანდიდატი მიიღებს თანაბარ ქულებს; ან (2) საბჭო აირჩევს კანდიდატს, რომელსაც, სხვებთან შედარებით, დაბალი ქულა ჰქონდა.[35]

საბჭო უფლებამოსილია, დაიწყოს დანიშვნის გადაწყვეტილების ანულირების პროცესი:

- საკუთარი ინიციატივით;
- უზენაესი სასამართლოს პრეზიდენტის მოთხოვნით;
- იმ სასამართლოს პრეზიდენტის მოთხოვნით, სადაც მოსამართლე იკავებს თანამდებობას;
- ზემდგომი სასამართლოს პრეზიდენტის მოთხოვნით.

უზენაესი სასამართლოს პრეზიდენტს **ირჩევს პარლამენტი, ქვეყნის პრეზიდენტის წარდგინებით და სპეციალური ორგანოს (*General Convention of Judges of the Supreme Court*) დასკვნის საფუძველზე.** პრეზიდენტი ინიშნება 4 წლით და შეიძლება შეირჩეს მხოლოდ ორი ვადით. წელიწადში ერთხელ უზენაესი სასამართლოს პრეზიდენტი პარლამენტს წარუდგენს ანგარიშს.

2. საპრეზიდენტო რესპუბლიკა

2.1. კვიპროსი

კვიპროსში არსებობს უზენაესი/უმაღლესი სასამართლო (*High Court*) და უზენაესი საკონსტიტუციო სასამართლო (*Supreme Constitutional Court*).[36] უზენაესი სასამართლოს შემადგენლობაში არის 13 მოსამართლე (მათ შორის, ერთი პრეზიდენტი), რომლებსაც **ნიშნავს ქვეყნის პრეზიდენტი**. დადგენილი პრაქტიკის მიხედვით, ყველაზე უფროსი მოსამართლე ინიშნება სასამართლოს პრეზიდენტად.

კანონი განსაზღვრავს **შემდეგ კრიტერიუმებს:**

- მას უნდა ჰქონდეს სამართლის განხრით მუშაობის 12-წლიანი გამოცდილება

35. *The State Judicial Council will appoint judges from a pool of no more than 10 candidates who have achieved the highest number of points, provided that the difference between the selected candidate and the candidate with the highest number of points may not exceed ten points.*

36. *The Supreme Constitutional Court had jurisdiction on every matter of administrative law and constitutional matters. The High Court had appellate jurisdiction on every appeal from first-instance courts, which was not in the material jurisdiction of the Supreme Constitutional Court.*

(მათ შორის სამოსამართლო საქმიანობა);

- ის უნდა გამოირჩეოდეს პროფესიული ეთიკით.
- როგორც წესი, პირველი ინსტანციის მოსამართლეები ინიშნებიან უზენაეს სასამართლოში და მხედველობაში მიიღება მათი ასაკი და გამოცდილება (*seniority*).

დანიშვნა არ ეყრდნობა კონკურსს, ის ქვეყნის პრეზიდენტის პრეროგატივაა. შესაბამისად, მისი გადაწყვეტილება არ საჩივრდება.[37]

2.2. პოლონეთი

პოლონეთის უზენაესი სასამართლოს შესახებ კანონის შესაბამისად, უზენაესი სასამართლო მართლმსაჯულების აღსასრულებლად შექმნილი ორგანოა, რომელიც ახორციელებს საერთო და სამხედრო სასამართლოთა პრეცედენტულ მართლმსაჯულებას, რათა, საჩივრების განხილვითა და სამართლებრივი საკითხების გადაწყვეტით, მიაღწიოს კანონიერებასა და სამართლებრივ ერთგვაროვნებას. ამასთანავე, ე.წ. საგანგებო საჩივრების განხილვით, იგი აკონტროლებს ქვემდგომი ინსტანციების სასამართლოთა გადაწყვეტილებების კანონიერებასაც, რათა ისინი შეესაბამებოდეს დემოკრატიული სახელმწიფოსა და სოციალური სამართლიანობის პრინციპებს. სასამართლო განიხილავს სეიმისა და სენატის საარჩევნო დავებს და ადასტურებს პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტის აპარატისა და ევროპარლამენტის არჩევნების ნამდვილობას.

უზენაესი სასამართლო შედგება სამოქალაქო, სისხლის სამართლის, შრომისა და სოციალური უზრუნველყოფის, საგანგებო კონტროლისა და საზოგადოებრივი ურთიერთობის და დისციპლინურ საქმეთა პალატებისგან. უზენაეს სასამართლოს ჰყავს პირველი თავმჯდომარე, თავმჯდომარეები, მოსამართლეთა საერთო კრება, პალატების მოსამართლეთა კრება და უზენაესი სასამართლოს საბჭო.

საბჭოსთან კონსულტაციის შემდეგ, პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი რეგლამენტით განსაზღვრავს უზენაესი სასამართლოს პროცედურულ წესებს და ადგენს მოსამართლეთა თანამდებობების საერთო რაოდენობას ამ ორგანოში (ცალკეულ პალატებში მათი რიცხვი არანაკლებ 120-ს შეადგენს). ასევე განისაზღვრება უზენაესი სასამართლოს შიდა ორგანიზაციული წესები, შიდა პროცედურები და მოსამართლეთა თანაშემწეების საქმიანობის ზედმიწევნითი შინაარსი.

უზენაესი სასამართლოს პირველ თავმჯდომარეს **ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი**, ამავე სასამართლოს მოსამართლეთა საერთო კრების მიერ არჩეული 5 კანდიდატიდან და 6 წლის ვადით. განმეორებით მისი დანიშვნა შესაძლებელია მხოლოდ ერთხელ. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა საერთო კრება პირველი თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე 6 კვირით ადრე ირჩევს კანდიდატებს უზენაესი სასამართლოს მოქმედ მოსამართლეთაგან.

უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე (რიგითი) პასუხისმგებელია კონკრეტული პალატის ფუნქციონირებაზე. მას ნიშნავს პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი, ამ სასამართლოს პირველ თავმჯდომარესთან კონსულტაციის შემდეგ, უზენაესი

37. კვიპროსის კონსტიტუცია, მუხლები: 133, 137-151, 153; იხ: https://bit.ly/3wgONzY; Administration of Justice (Miscellaneous Provisions) Law 33/1964, Sections 9, 3, 4 და 5.

სასამართლოს მოსამართლეთა ასამბლეის მიერ არჩეული 3 კანდიდატიდან და 3 წლის ვადით. თავმჯომარის ხელახლა დანიშვნა შესაძლებელია ორჯერ.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე **შეიძლება დაინიშნოს პირი, რომელიც:**

- მხოლოდ პოლონეთის მოქალაქეა და სარგებლობს სრული სამოქალაქო და სოციალური უფლებებით;
- არ არის ნასამართლევი ან პირობით გათავისუფლებული განზრახ დანაშაულის ჩადენისთვის;
- უკვე მიაღწია 40 წლის ასაკს;
- კომუნიკაბელურია და ფლობს სათანადო სოციალურ უნარებს;
- აქვს პოლონეთის რესპუბლიკაში მიღებული უმაღლესი იურიდიული განათლება და მაგისტრის ხარისხი, ან ქვეყანაში აღიარებული უცხოური კვალიფიკაცია სამართალში;
- გამოირჩევა მაღალი პროფესიული ცოდნით;
- აქვს შესაბამისი ჯანმრთელობის მდგომარეობა;
- აქვს მოსამართლედ, პროკურორად, სასამართლოს თავმჯდომარედ, თავმჯდომარის მოადგილედ, ან პოლონეთის რესპუბლიკის გენერალური პროკურატურის მრჩევლად მუშაობის, სულ მცირე, 10-წლიანი გამოცდილება;
- არანაკლებ 10 წლის განმავლობაში მუშაობდა ადვოკატად, იურიდიულ მრჩევლად ან ნოტარიუსად;
- არ უმუშავია ან უთანამშრომლია სახელმწიფო უსაფრთხოების იმ ორგანოებთან, რომლებიც მითითებულია კანონში „ეროვნული ხსოვნის ინსტიტუტის პოლონელი ერის წინააღმდეგ დანაშაულთა დევნის კომისიის შესახებ“.

ზემოთ ჩამოთვლილი მოთხოვნები არ ვრცელდება იურიდიულ მეცნიერებათა პროფესორებსა და დოქტორებზე, (*habilitated doctor*) რომლებიც მუშაობდნენ პოლონეთის უნივერსიტეტში, პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიაში, კვლევით ინსტიტუტსა ან სხვა სამეცნიერო დაწესებულებაში.

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატთა შემოწმება და შეფასება სასამართლო ხელისუფლების ეროვნული საბჭოს კომპეტენციაა. ფორმალურ მოთხოვნათა დადასტურების შემდეგ, საბჭოს თავმჯდომარე ნიშნავს გუნდს, რომელიც კანდიდატთა საქმეს ამზადებს საბჭოს სხდომაზე განსახილველად. გუნდი შედგება საბჭოს 3 წევრისაგან. დასაბუთებულ შემთხვევებში, თავმჯდომარეს შეუძლია, დანიშნოს უფრო დიდი გუნდიც. მისი წევრები არ შეიძლება იყვნენ მხოლოდ მოსამართლეები ან მხოლოდ სენატორები.

თუ მოსამართლის თანამდებობაზე ერთზე მეტი კანდიდატი შეიტანს განაცხადს, გუნდი ამზადებს რეკომენდებულ კანდიდატთა სიას. იგი გადაწყვეტილებას იღებს ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით (ყველა წევრის თანდასწრებით) და წარუდგენს საბჭოს, რომელიც იღებს დადგენილებას ამ საკითხზე. საბჭო ერთობლივად განიხილავს და აფასებს ყველა კანდიდატურას. უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის კანდიდატი საბჭოს წარედგინება ღია სხდომაზე და პროცესი

გადაიცემა ინტერნეტის საშუალებით, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც პროცესის ღიაობით შეიძლება გამჟღავნდეს საიდუმლო ინფორმაცია.

გადაწყვეტილებაუნარიანობისთვის, საბჭოს უნდა ესწრებოდეს წევრთა ნახევარი მაინც (შედგეს კვორუმი). იგი გადაწყვეტილებებს იღებს ხმათა აბსოლუტური უმრავლესობით და ღია კენჭისყრით. საბჭოს წევრის მოთხოვნით, კენჭისყრა შეიძლება იყოს ფარულიც. ამ ორგანოს გადაწყვეტილება უზენაესი სასამართლოს მოსამართლის კანდიდატთან დაკავშირებით არ საჩივრდება.

საბჭო ქვეყნის პრეზიდენტს წარუდგენს შუამდგომლობებს კანდიდატთა დანიშვნის შესახებ და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეს ნიშნავს პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი.

იუსტიციის ეროვნული საბჭოს წევრები არიან: უზენაესი სასამართლოს პირველი თავმჯდომარე; იუსტიციის მინისტრი; მთავარი ადმინისტრაციული სასამართლოს თავმჯდომარე (დანიშნული პრეზიდენტის მიერ); ფიზიკური პირი, დანიშნული რესპუბლიკის პრეზიდენტის მიერ; 15 მოსამართლე, რომლებსაც უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო ირჩევს უზენაესი სასამართლოს, საერთო სასამართლოების, ადმინისტრაციული და სამხედრო სასამართლოების მოსამართლეთაგან; სეიმის მიერ სეიმის თავმჯდომარის მოადგილეთაგან არჩეული 4 წევრი; და სენატის მიერ სენატორთა შორის შერჩეული 2 წევრი. საბჭოში არამოსამართლე წევრთა კვოტები არ არსებობს.

2.3. პორტუგალია

პორტუგალიის კანონმდებლობის თანახმად, ქვეყნის უზენაეს სასამართლოში 60 მოსამართლეა.[38] ამ თანამდებობაზე ვაკანსია საჯაროდ თავსდება და განაცხადის **გაკეთება შეუძლიათ** მეორე ინსტანციის მოსამართლეებს, სახელმწიფოს წარმომადგენლებსა (*Assistant Attorney General*) და იურისტებს.[39]

ვაკანსიას აცხადებს სპეციალური ორგანო (*Supreme Judicial Council*) და გადაწყვეტილებას იღებს ჟიური (*jury*), რომლის წევრებიც არიან: საბჭოს პრეზიდენტი, ვიცეპრეზიდენტი, საბჭოს მიერ არჩეული არამოსამართლე წევრი, იუსტიციის სამინისტროს (*High Council of the Department of Justice*) მიერ არჩეული წევრი, უნივერსიტეტის პროფესორი და ადვოკატთა ასოციაციის წევრი. კანდიდატთა რანჟირება ხდება სხვადასხვა **კრიტერიუმის** გათვალისწინებით, მათ შორისაა პროფესიული გამოცდილება და მომზადებული სამეცნიერო ნაშრომები. საჯარო მოსმენისას, კანდიდატები შემფასებლებს წარუდგენენ არგუმენტებს, თუ რატომ შეეფერებიან ვაკანტურ თანამდებობას. გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით. თანაბარი ხმების შემთხვევაში, გადამწყვეტია თავმჯდომარის ხმა. ჟიურის გადაწყვეტილება საჩივრდება ადმინისტრაციულ სასამართლოში.

2.4. რუმინეთი[40]

რუმინეთის უმაღლესი საკასაციო და მართლმსაჯულების სასამართლო (*Înalta Curte de Casație și Justiție*) უმაღლესი ინსტანციის სასამართლოა. მისი უმთავრესი

38. Article 57 of Law no. 62/2013 and map appended as Annex 1 to Decree-Law no. 49/2014, იხ: https://bit.ly/3mKFdSz

39. მუხლი 50, Law no. 21/85, იხ: https://bit.ly/3wjVst3

40. შენიშვნა: ქვეთავი მოამზადა სსიპ პარლამენტის კვლევითი ცენტრის მთავარმა მკვლევარმა ანა მარჯანიძემ.

ამოცანაა კანონის ერთიანი განმარტება და გამოყენება ქვემდგომ სასამართლოთა მხრიდან.

რუმინეთის საკასაციო სასამართლოს შემადგენლობაში შედის: პირველი და მეორე სამოქალაქო პალატები, სისხლის სამართლის პალატა, ადმინისტრაციულ და საგადასახადო საკითხთა პალატა.[41] შესაძლებელია, საკასაციო სასამართლოს ფარგლებში პალატები გაერთიანდეს რიგი საკითხების განსახილველად. სასამართლოში ჩამოყალიბებულია 5 და 9 მოსამართლისგან შემდგარი პალატებიც. თუმცა აღსანიშნავია, რომ 2010 წლის N 202 კანონით, საქმეთა განხილვის დასაჩქარებლად, 9-მოსამართლიანი პალატის უფლებამოსილებები გადაეცა 5-მოსამართლიან პალატას. 9-მოსამართლიანი პალატა განიხილავს უკვე განხილვის პროცესში არსებული საქმეებს.[42]

პირველი სამოქალაქო პალატის იურისდიქცია განისაზღვრება რუმინეთის სამოქალაქო საპროცესო კოდექსითა და 2004 წლის N 304 კანონით. საკასაციო და მართლმსაჯულების სასამართლოს პირველი სამოქალაქო პალატა განიხილავს შემდეგ საკითხებს: სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებების წინააღმდეგ საჩივრები, ასევე სხვა გადაწყვეტილებების წინააღმდეგ საჩივრები, იმ შემთხვევებში რაც განსაზღვრულია კანონით; საქმის გადახედვის განცხადებები, კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში; არარად ცნობის საკითხები; განცხადებები საქმის გადაცემის შესახებ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსზე დაყრდნობით; იურისდიქციის კონფლიქტის კანონით გათვალისწინებული შემთხვევები; ნებისმიერი სხვა შუამდგომლობა, რომელიც კანონით განსაზღვრულია პალატის იურისდიქციის ქვეშ.

გარდა ამისა, 2004 წლის No 304 კანონის თანახმად, რომელშიც ცვლილებები შევიდა 2012 წლის No 76 კანონით, პირველი სამოქალაქო პალატა განიხილავს საჩივრებს შუალედურ გადაწყვეტილებებს ან სხვა სასამართლო აქტებზე, რომლებიც ვერ საჩივრდება რაიმე სხვა გზით და რომელთა სააპელაციო სასამართლომდე განხილვისას სასამართლო პროცესი შეფერხდა.

2004 წლის No 304 კანონისა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თანახმად, მეორე სამოქალაქო პალატის იურისდიქცია მოიცავს შემდეგ შემთხვევებს: სააპელაციო სასამართლოს მიერ დაბრუნებულ გადაწყვეტილებათა მეორედ გასაჩივრება; კანონით გათვალისწინებული სხვა გადაწყვეტილებები; შუამდგომლობები საქმის გადასინჯვაზე (კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში); შუამდგომლობები არარად ცნობის შესახებ; განცხადებები საქმის გადაცემის შესახებ (სამოქალაქო საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული საფუძვლით); იურისდიქციის კონფლიქტები კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში; სხვა შუამდგომლობები, რომლებიც კანონით ექცევა პალატის იურისდიქციაში.

სისხლის სამართლის პალატის იურისდიქცია მოიცავს რამდენიმე მიმართულებას:[43] სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-40 მუხლის თანახმად, პალატა მოქმედებს როგორც პირველი ინსტანციის სასამართლო, თუ სახეზეა: სახელმწიფო ღალატი; დანაშაულები, ჩადენილი კონკრეტულ პირთა მიერ (სენატორები, დეპუტატები, ევროპარლამენტის ან მთავრობის წევრები, საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეები, საკასაციო სასამართლოზე მიბმული პროკურორები); საჩივრები სააპელაციო სასამართლოს მიერ პირველ

41. ob: http://www.scj.ro/en/383/Home

42. ob: http://www.scj.ro/en/558/Jurisdiction

43. ob: http://www.scj.ro/en/514/Jurisdiction

ინსტანციაში დაბრუნებულ და სამხედრო სააპელაციო სასამართლოს საქმეებზე; შეცილებები ამგვარ საქმეებზე; საჩივრები სისხლის სამართლის საქმეებზე მიღებულ შუალედურ გადაწყვეტილებებსა ან სხვა სასამართლო აქტებთან დაკავშირებით, რომლებიც ვერ საჩივრდება სხვა რაიმე გზით, და რომელთა სააპელაციო სასამართლომდე განხილვისას სასამართლო პროცესი შეფერხდა; მოთხოვნები შუალედურ გადაწყვეტილებათა ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ (კანონით გათვალისწინებული პირობებით); შეტყობინებები, რომლებიც აზუსტებს სამართლებრივ საკითხებს წინასწარ გადაწყვეტილებებზე; იურისდიქციის კონფლიქტის საკითხები, როდესაც საქმე ეხება უზენაეს სასამართლოს; შუამდგომლობები საქმის გადაცემაზე.

2004 წლის No 304 კანონის 25-ე მუხლის თანახმად, შესაძლებელია საკასაციო სასამართლოს პალატები გაერთიანდეს ისეთი საკითხების განსახილველად, როგორიცაა საკასაციო და მართლმსაჯულების სასამართლოს იურისპრუდენციის ცვლილება. გაერთიანებული პალატა ასევე უფლებამოსილია, მიმართოს საკონსტიტუციო სასამართლოს, რათა კანონის გამოყენებამდე დაადგინოს მისი კონსტიტუციურობა.

რუმინეთის საკასაციო და მართლმსაჯულების სასამართლოს მოსამართლეებს ნიშნავს პრეზიდენტი, მაგისტრთა უზენაესი საბჭოს (*Superior Council of Magistracy*) წარდგინებით. საბჭო შედგება 19 წევრისგან, რომელთა შორის არის: 9 მოსამართლე, 5 პროკურორი, რუმინეთის სენატის მიერ არჩეული 2 წევრი და 3 ex officio წევრი: საკასაციო და მართლმსაჯულების სასამართლოს პრეზიდენტი, იუსტიციის მინისტრი და გენერალური პროკურორი, რომელიც მიბმულია საკასაციო და მართლმსაჯულების სასამართლოზე. საკასაციო და მართლმსაჯულების სასამართლოს მოსამართლეებს ირჩევენ 6-წლიანი განახლებადი ვადით.[44]

აღსანიშნავია, რომ საკასაციო და მართლმსაჯულების სასამართლოს პრეზიდენტს, ვიცეპრეზიდენტსა და სექციების პრეზიდენტებს ნიშნავს ქვეყნის პრეზიდენტი, საკასაციო სასამართლოს შემადგენლობიდან და მაგისტრთა უზენაესი საბჭოს წარდგინებით. ამასთან, მათ უნდა ჰქონდეთ საკასაციო სასამართლოში მუშაობის, სულ მცირე, 2-წლიანი გამოცდილება.

საგულისხმოა, რომ საკასაციო და მართლმსაჯულების სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნის ეს პროცედურა - კერძოდ, უზენაესი მაგისტრთა საბჭოს მიერ წარდგინება და პრეზიდენტის მიერ ფორმალურად დანიშვნა - მოიწონა ვენეციის კომისიამ.[45]

2.5. საფრანგეთი

საფრანგეთის უზენაესი სასამართლოს კომპეტენციაა სამოქალაქო და სისხლის სამართლის დავების განხილვა. სასამართლო მსჯელობს მხოლოდ სამართალშეფარდების საკითხზე და განმარტავს კანონს. ის არ აფასებს ფაქტებს. 1991 წლიდან, ქვედა ინსტანციების მხრიდან მიმართვის შემთხვევაში, აქვეყნებს მოსაზრებებს კომპლექსურ და ახალ სამართლებრივ საკითხებზე.[46]

44. ob: https://www.encj.eu/images/stories/pdf/factsheets/csm_romania.pdf

45. „The proposed system, making SCM the exclusive actor in the appointment, is a welcome solution, which confirms the crucial role of SCM as the guarantor of the independence of the judiciary, although the Venice Commission has also accepted that the Head of State may play a formal role in appointing judges“,- Opinion No. 924 / 2018, CDL-AD(2018)017, Strasbourg, 20 October 2018. ob: https://www.venice.coe.int/webforms/documents/default.aspx?pdffile=CDL-AD(2018)017-e

46. ob: https://bit.ly/3k6b920

საკასაციო სასამართლოს შემადგენლობაში არიან: პრეზიდენტი (*premier président*), პალატების პრეზიდენტები, მოსამართლეები (*conseillers*) და ასისტენტი მოსამართლეები (*conseillers référendaires*).[47] **მოსამართლეები (*conseillers/justices*) ინიშნებიან პრეზიდენტის დეკრეტით, რომელსაც კანდიდატებს წარუდგენს იუსტიციის საბჭო (*Conseil supérieur de la magistrature*). როგორც წესი, კანდიდატებს ირჩევენ სამოსამართლო კორპუსიდან, თუმცა ამ თანამდებობაზე ინიშნებიან სამართლის პროფესორები და სამთავრობო საბჭოს იურისტებიც (*Conseil d'Etat*).** უნდა აღინიშნოს, რომ არსებობს მოსამართლეთა სპეციალური კატეგორია (*justices on special assignment/conseillers en service extraordinaire*), რომელთა რაოდენობა არ აღემატება 10-ს. ისინი ინიშნებიან 5 წლის ვადით და განიხილავენ სპეციალურ საქმეებს. ასისტენტი მოსამართლე (*conseillers référendaires*) შეირჩევა ქვედა ინსტანციის მოსამართლეთაგან და ამ პოზიციაზე ინიშნება არაუმეტეს 10 წლის ვადით. მათ არ აქვთ ხმის მიცემის უფლება და აკისრიათ საკონსულტაციო ფუნქციები, მათ შორის, კვლევების ჩატარება და გადაწყვეტილების პროექტებზე მუშაობა.[48] დასანიშნ მოსამართლეთა აპლიკაციებისა და ბიოგრაფიების შესწავლის შემდეგ, იუსტიციის საბჭო გასაუბრების მიხედვით წყვეტს, ვინ წარუდგინოს პრეზიდენტს დასანიშნად.[49]

3. კონსტიტუციური მონარქია

3.1. ბელგია

ბელგიის სამეფოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა **კანდიდატებს მეფეს იუსტიციის უმაღლესი საბჭო წარუდგენს**. ოფიციალურ გაზეთში ვაკანსიების გამოცხადების შემდგომ, კანდიდატები განაცხადებს წარუდგენენ იუსტიციის სამინისტროს, რომელიც, თავის მხრივ, მათ გზავნის იუსტიციის უმაღლეს საბჭოში. მეფე არ არის ვალდებული წარდგენილი კანდიდატები დანიშნოს თანამდებობაზე, უარის შემთხვევაში, იგი საკუთარ გადაწყვეტილებას ასაბუთებს. იუსტიციის უმაღლეს საბჭოს შეუძლია ხელახლა წარადგინოს უარყოფილი ან სრულიად სხვა კანდიდატი.

თუ მეფე კვლავ უარს იტყვის წარდგენილი კანდიდატურის დანიშვნაზე, მთელი პროცედურა ხელახლა დაიწყება. იუსტიციის უმაღლესი საბჭოს კონსტიტუციური ვალდებულებაა ყოველი კანდიდატის სრულფასოვნად შეფასება **ობიექტური კრიტერიუმების** საფუძველზე, რათა დასანიშნად წარადგინოს შესაფერისი კანდიდატი.

საკასაციო სასამართლოში მოსამართლედ დანიშვნის წინაპირობაა 15-წლიანი გამოცდილება სამართლის სფეროში, საიდანაც 10 წელი უნდა ეთმობოდეს პროკურორად ან მოსამართლედ მუშაობას.[50] მოსამართლეები ინიშნებიან უვადოდ. დანიშვნები თავისუფალი უნდა იყოს პოლიტიკური ზეგავლენისგან, რაშიც განსაკუთრებული როლი ენიჭება საბჭოს (*High Council of Justice/Conseil supérieur de la Justice/Hoge Raad voor de Justitie*).

საკასაციო სასამართლოში მოსამართლედ გამწესებისათვის, პირმა უნდა გაიაროს გარკვეული საფეხურები: ბელგიის კანონმდებლობის თანახმად, მან

47. ob: https://www.courdecassation.fr/IMG/File/About%20the%20court_mars09.pdf

48. ob: https://www.courdecassation.fr/about_the_court_9256.html

49. ob: http://www.conseil-superieur-magistrature.fr/le-csm/nos-missions

50. Art. 254, § 3, Judicial Code, Law of 10 October 1967 (Code judiciaire/Gerechtelijk wetboek, JC)

რამდენიმე წელი უნდა იმუშაოს პირველი ინსტანციის სასამართლოში, შემდეგ სააპელაციო სასამართლოში და მხოლოდ ამის შემდეგ გააკეთოს განაცხადი საკასაციო სასამართლოში დანიშვნაზე.[51] დანიშვნისას გენდერული კვოტა არ არის გათვალისწინებული. აღსანიშნავია, რომ საკასაციო სასამართლოს მოსამართლეთა უმრავლესობას აქვს აკადემიურ სფეროში საქმიანობის გამოცდილება.

შესაბამისად, საწყისი ეტაპია პირველ ინსტანციაში (*Cour de première instance/ rechtbank van eerste aanleg*) მოსამართლედ მუშაობა, რასაც თავისი წინაპირობა აქვს - კანდიდატმა უნდა ჩააბაროს სპეციალური გამოცდა, რომელიც ორი სახისაა: (1) გამოცდა (*comparative admissions examination*) იმ იურისტებისთვის, რომლებსაც არ აქვთ პროფესიული გამოცდილება; (2) შერჩევა (*comparative admissions*) იმ პირთა შორის, რომლებსაც აქვთ ადვოკატურის ერთწლიანი სტაჟირების გამოცდილება. შემდეგ ისინი გადიან სასამართლოში სტაჟირებას, რის მერეც წარადგენენ განაცხადს სასამართლოში (*magistrate*), ან პროკურატურის ოფისში.[52] იურისტებს, რომელთაც დაუდასტურდებათ მაღალი პროფესიული გამოცდილება კომპეტენციის ტესტის ჩაბარების შემდეგ, შეუძლიათ, პირდაპირ გააკეთონ განაცხადი მოსამართლის თანამდებობაზე.

3.2. გაერთიანებული სამეფო

გაერთიანებული სამეფოს უზენაესი სასამართლო დღეს არსებული ფორმით ჩამოყალიბდა 2009 წლის რეფორმის შემდეგ.[53] ეს არის ბოლო ინსტანციის სასამართლო, რომელიც განიხილავს სამოქალაქო სამართლის დავებს გაერთიანებული სამეფოს მასშტაბით, ასევე, ინგლისის, უელსისა და ჩრდილოეთ ირლანდიის სისხლის სამართლის საქმეებს.[54]

რეფორმების შემდეგ, უზენაესი სასამართლოს მოსამართლეები სრულად დამოუკიდებელნი არიან საპარლამენტო პროცესებისგან.[55] საკონსტიტუციო რეფორმების აქტის მიღების შემდეგ, უზენაესი სასამართლოს შემადგენლობაში განისაზღვრა 12 მოსამართლე, თუმცა აქტი უშვებს რაოდენობის გაზრდას.[56] კერძოდ, სასამართლო შედგება პრეზიდენტის, მისი მოადგილისა და 10 მოსამართლისგან. საკონსტიტუციო რეფორმების 2005 წლის აქტის 25-ე ნაწილი მათთვის განსაზღვრავს შემდეგ კრიტერიუმებს:[57]

- სამართალში პრაქტიკული მუშაობის, სულ მცირე, 15-წლიანი გამოცდილება;
- სასამართლოში მაღალ თანამდებობაზე (*high judicial office*) მუშაობის, სულ მცირე, 2-წლიანი გამოცდილება.[58]

აქტის თანახმად, ვაკანტურ თანამდებობაზე მოსამართლის დასანიშნად, იქმნება დამოუკიდებელი კომისია, რომლის წევრებიც არიან: უზენაესი სასამართლოს პრეზიდენტი; მოსამართლე (*senior judges*), რომელიც არ არის უზენაესი

51. იხ: https://bit.ly/3oSFJ26
52. იქვე.
53. იხ: https://bit.ly/3zKSMGr
54. იხ: https://www.supremecourt.uk/about/the-supreme-court.html
55. იხ: https://www.judiciary.uk/about-the-judiciary/the-justice-system/the-supreme-court/
56. იხ: https://www.legislation.gov.uk/ukpga/2005/4/section/23
57. იხ: https://www.legislation.gov.uk/ukpga/2005/4/section/25#section-23-2
58. 'High judicial office' is defined to include High Court Judges of England and Wales, and of Northern Ireland; Court of Appeal Judges of England and Wales, and of Northern Ireland; and Judges of the Court of Session, იხ: https://www.supremecourt.uk/about/appointments-of-justices.html

სასამართლოს წევრი;[59] ასევე, ინგლისისა და უელსის სამოსამართლო კომისიის (*Judicial Appointments Commission*), შოტლანდიის სამოსამართლო საბჭოს (*Judicial Appointments Board*) და ჩრდილოეთ ირლანდიის ანალოგიური კომისიის (*Judicial Appointments Commission*) წარმომადგენლები. კანონმდებლობა არ განსაზღვრავს შერჩევის დამატებით დეტალებს, თუმცა უზენაესი სასამართლოს საიტზე განთავსებულია ანგარიში და მეთოდოლოგია, თუ როგორ ჩატარდა წინა შერჩევები. ეს ერთგვარი სახელმძღვანელო ინფორმაციაა, რომელიც საკმაოდ დეტალურად აღწერს კონკურსის პროცესს, ასევე, კრიტერიუმებს, რომლებითაც კომისია ხელმძღვანელობდა, და სამომავლო რეკომენდაციებს.[60]

აქტის 27-ე ნაწილის თანახმად, კომისიამ უნდა გაითვალისწინოს *Lord Chancellor*-ის მითითებები[61], რადგან სწორედ მას ატყობინებს შერჩეული კანდიდატის შესახებ. *Lord Chancellor*-ს უფლება აქვს, კომისიას მოსთხოვოს გადაწყვეტილების გადახედვა, ან უარი განაცხადოს კანდიდატის დანიშვნაზე, რაც სათანადოდ უნდა დაასაბუთოს. **თუ *Lord Chancellor*-ისთვის კანდიდატი მისაღებია, მისი სახელი და გვარი ეგზავნება პრემიერმინისტრს, რომელიც, თავის მხრივ, რეკომენდაციას უწევს დედოფალს კანდიდატის დანიშვნაზე. დანიშვნის ბრძანებას (*letters patent*) დედოფალი გამოსცემს.**

3.3. დანია[62]

დანიის უზენაესი სასამართლო უმაღლესი მართლმსაჯულების ორგანოა დანიის, ფაროს კუნძულებისა და გრინლენდისთვის. მისი უმთავრესი ფუნქციაა ბუნდოვანი კანონმდებლობის განმარტება და სამართლის განვითარება; ამასთანავე, იგი გადასინჯავს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოების, კერძოდ, აღმოსავლეთ და დასავლეთ დანიის უმაღლესი სასამართლოების, ასევე, საზღვაო და კომერციული სასამართლოს გადაწყვეტილებებსა და განკარგულებებს. უმაღლესი სასამართლოების გადაწყვეტილებათა გასაჩივრებისთვის, საჭიროა საჩივართა დაშვების საბჭოს (*Appeals Permission Board*) ნებართვა. ნებართვა გაიცემა განსაკუთრებული მნიშვნელობის საქმეებზე, ასევე, სისხლის სამართლის საქმეებზე და სხვა საგანგებო შემთხვევებში. უზენაესი სასამართლო შედგება ორი პალატისგან, რომლებიც პარალელურად საქმიანობენ და მათ მიერ განხილული საქმეები არ განსხვავდება. მოსამართლეები წელიწადში ოთხჯერ გადადიან ერთი პალატიდან მეორეში. საქმეები ნაწილდება შემთხვევითობის პრინციპით. როგორც წესი, სასამართლოს პალატა შედგება 5 მოსამართლისგან.[63]

უზენაესი სასამართლოს შემადგენლობაში შედის პრეზიდენტი და 17 მოსამართლე, რომელთა შორის ერთი სააპელაციო კომიტეტის თავმჯდომარეა (2-წლიანი ვადით) და ერთიც საჩივართა დაშვების საბჭოს თავმჯდომარე. **უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს, როგორც ყველა სხვა მოსამართლეს, ნიშნავს იუსტიციის მინისტრი, მოსამართლეთა დანიშვნის დამოუკიდებელი საბჭოს *(Judicial Appointments Council)* რეკომენდაციით.** ამ ორგანოს შემადგენლობაში არიან: უზენაესი სასამართლოს

59. „the senior judges“ means: the judges of the Supreme Court; the Lord Chief Justice of England and Wales; the Master of the Rolls; the Lord President of the Court of Session; the Lord Chief Justice of Northern Ireland; the Lord Justice Clerk; the President of the Queen's Bench Division; the President of the Family Division; the Chancellor of the High Court.

60. იხ: https://www.supremecourt.uk/docs/review-of-selection-commission-process-july-2015.pdf

61. The commission must have regard to any guidance given by the Lord Chancellor as to matters to be taken into account (subject to any other provision of this Act) in making a selection.

62. შენიშვნა: ქვეთავი მოამზადა სსიპ პარლამენტის კვლევითი ცენტრის მთავარმა მკვლევარმა ანა მარჯანიძემ.

63. იხ: https://domstol.dk/hoejesteret/english/about/

მოსამართლე, უმაღლესი სასამართლოს მოსამართლე, რაიონული სასამართლოს მოსამართლე, იურისტი და საზოგადოების 2 რიგითი წევრი. კანდიდატი შეირჩევა საჯარო ვაკანსიაზე განაცხადების მიღებით. იგი აბარებს გამოცდას, სადაც უნდა ჩამოაყალიბოს საკუთარი პოზიცია უზენაესი სასამართლოს საქმეებზე. გამოცდას ამოწმებენ დანიშნული მოსამართლეები. უზენაესი სასამართლოს პრეზიდენტს ირჩევენ წევრებს შორის და ნიშნავს იუსტიციის მინისტრი.[64]

3.4. ესპანეთი

ესპანეთის უზენაესი სასამართლო უმაღლესი ინსტანციაა და განიხილავს სამოქალაქო, სისხლის, ადმინისტრაციულ, შრომისა და სამხედრო სამართლის საქმეებს. მისი კომპეტენცია არ ვრცელდება კონსტიტუციურ სამართალზე. უზენაესი სასამართლო შეიქმნა 1812 წელს და უმაღლესი სააპელაციო სასამართლოა, რომლის მთავარი ფუნქციაა ნორმების უნიფიცირებული განმარტება.[65]

უზენაესი სასამართლო შედგება პრეზიდენტის, მისი მოადგილის, 5 პალატის თავმჯდომარეებისა და მოსამართლეებისგან. მის პრეზიდენტს ირჩევს იუსტიციის საბჭო (*General Council for the Judiciary*).[66] არჩევის შემდეგ, უზენაესი სასამართლოს პრეზიდენტი ავტომატურად ხდება საბჭოს პრეზიდენტიც.[67] **პრეზიდენტის მსგავსად, მოსამართლეთა ნომინირებაც საბჭოს კომპეტენციაა, შემდეგ კი მათ ნიშნავს მონარქი. მოსამართლეები ინიშნებიან 70 წლის ასაკის მიღწევამდე.**

2017 წლის მონაცემებით, უზენაესს სასამართლოში 79 მოსამართლე იყო.[68] იუსტიციის საბჭო საქმიანობის ანგარიშს წელიწადში ერთხელ პარლამენტს წარუდგენს. სასამართლოების შესახებ ორგანული კანონი უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნის კრიტერიუმებს აწესრიგებს, თუმცა, არ ითვალისწინებს კონკურსის ჩატარების პროცედურას (მაგ: 586-ე მუხლი არ საუბრობს რაიმე კონკურსის ჩატარებაზე, ის მხოლოდ პრეზიდენტის არჩევის კენჭისყრის წესს განსაზღვრავს[69]). ამასთან, კანონში არ არის გათვალისწინებული დანიშვნაზე უარის გასაჩივრების მექანიზმი.

ამავე კანონის თანახმად, ესპანეთში არსებობს სამი კატეგორიის მოსამართლე: მოსამართლე, მაგისტრატი და უზენაესი სასამართლოს მაგისტრატი (მუხლი 298). კანონის 301-ე მუხლის თანახმად, **მოსამართლე უნდა იყოს** ესპანეთის მოქალაქე, რომელსაც აქვს ბაკალავრიატის ხარისხი სამართალში. აპლიკანტს მოეთხოვება სახელმწიფო გამოცდის ჩაბარება. არჩეული კანდიდატები სწავლას აგრძელებენ იუსტიციის სკოლაში და მხოლოდ ამის შემდეგ ხდებიან მოსამართლეები (მუხლი 307). 301-ე მუხლი აწესებს სპეციალურ კვოტას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებისთვის და გონივრული მისადაგების პრინციპის დაცვის ვალდებულებას. 343-347 მუხლები აწესრიგებს უზენაეს სასამართლოში მაგისტრატ მოსამართლედ გამწესების წესს, რომელიც არ მოიაზრებს კონკურსს.

64. ob: https://domstol.dk/hoejesteret/english/members-of-the-court/

65. ob: https://www.europeanlawinstitute.eu/membership/institutional-members/supreme-court-of-spain/

66. ob: https://bit.ly/3GNjyBf

67. ob: https://bit.ly/3EZnOfx

68. ob: https://cadenaser.com/ser/2017/01/26/tribunales/1485442284_050335.html

69. The election will take place between three and seven days later, with the person elected by roll call obtaining the support of the majority of three-fifths of the members of the Plenary; and, if in a first ballot none of the candidates is elected, a second ballot will be immediately carried out exclusively between the two candidates with the most votes in that ballot, with the one who obtains the highest number of votes being elected. ob: https://bit.ly/3GPrH8n

პრაქტიკის თანახმად:

- 5-დან ერთი მოსამართლე ცნობილი იურისტია, 15-წლიანი გამოცდილებით;
- 4-ს ირჩევენ სამოსამართლო კორპუსიდან და უნდა ჰქონდეთ, სულ მცირე, 15-წლიანი სამოსამართლო გამოცდილება, საიდანაც 10 წელი ეთმობა მაგისტრ მოსამართლედ მუშაობას.

3.5. კანადა

კანადის უზენაესი სასამართლო უმაღლესი საკასაციო ინსტანციაა, რომელიც განიხილავს ყველა ტიპის დავას.[70] უზენაესი სასამართლოს აქტის[71] თანახმად, სასამართლო შედგება ერთი თავმჯომარისა (chief justice) და 8 მოსამართლისგან (puisne judges). აქედან 3-3 ინიშნება კვებეკიდან და ონტარიოდან, 2 აღმოსავლეთ პროვინციიდან ან ჩრდილოეთიდან, ხოლო 1 - ატლანტის პროვინციებიდან.[72]

უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა **კრიტერიუმები** წინასწარ არის შემუშავებული.[73] კერძოდ, კანდიდატი უნდა იყოს:

- მოქმედი ან ყოფილი მოსამართლე (*judge of a superior court of a province, including courts of appeal*); ან
- მოქმედი ან ყოფილი ადვოკატი, სულ მცირე, 10-წლიანი პრაქტიკული გამოცდილებით.

კანადაში დამოუკიდებელი ორგანო (*Independent Advisory Board for Supreme Court of Canada Appointments*)[74] განიხილავს კანდიდატთა განაცხადებს, შეარჩევს დასანიშნ პირს და რეკომენდაციის სახით წარუდგენს პრემიერმინისტრს.[75] უზენაესი სასამართლოს მოსამართლეობის მსურველმა კანდიდატმა უნდა შეავსოს სპეციალური კითხვარი და განაცხადი.[76] საბჭოში დანიშნული გასაუბრებები არ არის საჯარო, თუმცა 2021 წელს დანიშნული მოსამართლის მიერ შევსებული კითხვარი გასაჯაროვდა.[77] **მოსამართლის დანიშვნაზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს პრემიერმინისტრი და ეს გადაწყვეტილება არ საჩივრდება.**[78]

დამტკიცებული წესის[79] თანახმად, საბჭო შედგება 7 წევრისგან, რომელთაც ნიშნავს იუსტიციის მინისტრი, ორგანიზაციებთან ერთად. ამასთან, წინასწარ არის ჩამოყალიბებული კრიტერიუმები, რომლებსაც წევრები უნდა აკმაყოფილებდნენ.80

70. Its jurisdiction embraces both the civil law of the province of Quebec and the common law of the other nine provinces and three territories, ob: https://www.scc-csc.ca/contact/faq/qa-qr-eng.aspx; https://www.scc-csc.ca/court-cour/sys-eng.aspx

71. The Supreme Court Act, Section 4(1), ob: https://bit.ly/3wcezF

72. ob: https://www.scc-csc.ca/contact/faq/qa-qr-eng.aspx#f12

73. ob: https://www.fja-cmf.gc.ca/scc-csc/2021/qualifications-eng.html

74. ob: https://bit.ly/3wf2uiM

75. According to a Library of Parliament publication entitled The Role of the Supreme Court of Canada – Membership and the Nomination Process in "2016, the government introduced a new process allowing qualified candidates to apply for a Supreme Court appointment through the Office of the Commissioner for Federal Judicial Affairs."

76. ob: https://www.fja-cmf.gc.ca/scc-csc/2021/form-formulaire-eng.html

77. ob: https://www.fja-cmf.gc.ca/scc-csc/2021/nominee-candidat-eng.html

78. ob: https://bit.ly/3k72lsN

79. ob: https://bit.ly/3bGK1Ci

80. 3 members, at least two of whom are not advocates or barristers in a province or territory, nominated by the Minister of Justice; a practising member in good standing of the bar of a province or territory, nominated by the Canadian Bar Association; a practising member in good standing of the bar of a province or territory, nominated by the Federation of Law Societies of Canada; a retired superior court judge, nominated by the Canadian Judicial Council; and a legal scholar, nominated by the Council of Canadian Law Deans.

3.6. ნორვეგია

ნორვეგიის პარლამენტის წერილის თანახმად, ქვეყანში **მოსამართლეებს ირჩევს სპეციალური ორგანო** (*Judicial Appointments Board for Judges*), რომელიც **დამოუკიდებელია** პოლიტიკური პროცესებისგან.

ნორვეგიაში უზენაესი სასამართლო ბოლო ინსტანციაა[81] და შედგება თავმჯდომარისა და 20 მოსამართლისგან. მოსამართლეთა დაკომპლექტებისას გათვალისწინებულია **მრავალფეროვნების** საკითხი: კერძოდ, სასურველია, განსხვავდებოდეს მათი სქესი, გამოცდილება, დასაქმების ადგილი და წარმოშობა.

მოსამართლეობის კანდიდატთა **კრიტერიუმები** განსაზღვრულია კანონით.[82] კერძოდ:

- მოსამართლე უნდა იყოს ნორვეგიის მოქალაქე, სულ მცირე, 30 წლის;
- ჰქონდეს სამართლის ხარისხი;
- გამოირჩეოდეს პროფესიონალიზმითა და პიროვნული მახასიათებლებით (როგორიცაა ემპათიის უნარი, ნეიტრალურობა) და სარგებლობდეს ხალხის ნდობით.[83]

მოსამართლეთა დამოუკიდებელი საბჭო (*Judicial Appointments Board for Judges*) დაარსდა 2002 წლის რეფორმების შედეგად, როდესაც სასამართლო ხელისუფლება დამოუკიდებელი გახდა იუსტიციის სამინისტროსგან. მისი ფუნქციაა კაბინეტისთვის რეკომენდაციების გაწევა მოსამართლეთა დანიშვნის შესახებ.[84] დამოუკიდებელი საბჭოს შემადგენლობაში არიან: უზენაესი, სააპელაციო და საქალაქო სასამართლოების 3-3 მოსამართლე, 1 იურისტი, საჯარო სექტორში მრჩევლად დასაქმებული იურისტი და 2 არაიურისტი წევრი. მათ ირჩევს კაბინეტი, 4 წლის ვადით. წევრის განმეორებით არჩევა დასაშვებია მხოლოდ ორჯერ. თუ იგი არ ასრულებს დაკისრებულ მოვალეობას, უწყდება უფლებამოსილება.

კანდიდატი საბჭოს წარუდგენს განაცხადს ვაკანსიაზე, ყველა საჭირო დოკუმენტთან ერთად. საბჭო სწავლობს წარდგენილ დოკუმენტებს, ატარებს გასაუბრებას, შერჩეულ კანდიდატებს წარუდგენს იუსტიციის მინისტრს და კაბინეტი ფორმალურად ამტკიცებს დანიშვნას.[85] კანდიდატებთან გასაუბრება არ არის საჯარო - ის არ გადაიცემა ტელევიზიით - თუმცა მათ მიერ წარდგენილი ინფორმაცია საჯაროა (თუკი არ მოიცავს განსაკუთრებულ პერსონალურ მონაცემს).[86] საბჭო წარადგენს 3 კანდიდატს, რომელთა შორისაც კაბინეტი ირჩევს მოსამართლეს (დადგენილი პრაქტიკით, ამ 3 კანდიდატს შორის რანჟირებით პირველს). თუ კაბინეტი დანიშნავს პირს, რომელიც საბჭოს არ დაუსახელებია, ეს უკანასკნელი შეაფასებს მას, თუმცა მსგავსი რამ პრაქტიკაში არ მომხდარა.[87]

81. The Constitution of the Kingdom of Norway article 88. This is an unofficial translation of the Norwegian version of the Constitution and is provided for information purposes only.

82. Courts of Justice Act, Sections 53-55, იხ: https://bit.ly/3o2Q49R

83. The personal qualifications means, firstly, that a judge should have the ability to show empathy and have the ability to familiarize themselves with other people's life situation. Furthermore, the judge must appear neutral, have great integrity and enjoy the public's trust, The proposition (bill) to the Storting – Ot.prp.nr. 44 (2000 – 2001) გვ. 189, იხ: https://bit.ly/3wiCqDj

84. Official Norwegian Report – NOU: 1999:19, გვ. 565-566, იხ: https://bit.ly/3wiV1PA

85. Official Norwegian Report – NOU: 1999:19 – Domstolene i samfunnet (the courts of society). ნორვეგიულად ხელმისაწვდომია ბმულზე: https://www.regjeringen.no/contentassets/308d75c4e50245fbbaae5849f6998e1f/no/pdfa/nou199919990019000dddpdfa.pdf p. 565 – 566.

86. Public applicant list for judges shall contain the names and ages of all applicants and complete information about their education and practice in public and private activities.

87. Om innstillingsrådet og dommerutnevninger

ნორვეგიის კანონმდებლობა არ იცნობს მოსამართლის დანიშვნაზე კაბინეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების მექანიზმს. თუ კაბინეტი შეარჩევს კანდიდატს, რომელიც საბჭოს არ წარუდგენია, საბჭოს მიერ მასზე წარდგენილი მოსაზრება არ არის სავალდებულო გასათვალისწინებლად.[88] შესაბამისად, საბჭოს მოსაზრებები მნიშვნელოვანია[89], თუმცა დანიშვნაზე პასუხისმგებლობა მთავრობას ეკისრება.[90] მართალია, კანდიდატი ვერ გაასაჩივრებს მთავრობის მიერ მოსამართლის დანიშვნის/არდანიშვნის გადაწყვეტილებას, მაგრამ მას შეუძლია საბჭოს ქმედების/გადაწყვეტილების გასაჩივრება იუსტიციის მინისტრთან. თუმცა, იუსტიციის მინისტრს არ აქვს საბჭოს გადაწყვეტილების შეცვლის უფლებამოსილება.[91]

ნორვეგიის მიზანია, სასამართლოს დაკომპლექტება იყოს სრულად აპოლიტიკური. შესაბამისად, პარლამენტი არ მონაწილეობს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეთა დანიშვნის არცერთ ეტაპზე, თუმცა მის ხელთ რჩება პოლიტიკური ბერკეტები: იმპიჩმენტი[92] და უნდობლობის გამოცხადება.[93]

3.7. შვედეთი

შვედეთში არსებობს უზენაესი სასამართლო, უზენაესი ადმინისტრაციული სასამართლო და საკონსტიტუციო სასამართლო. უზენაეს სასამართლოში 14 მოსამართლეა, თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, დასაშვებია მათი რაოდენობის გაზრდა. **კონსტიტუციის თანახმად:**

- უზენაეს სასამართლოში დანიშვნის წინაპირობაა უვადო მოსამართლედ მუშაობის გამოცდილება (*permanent salaried judge*);[94]
- უვადოდ გამწესებული მოსამართლე უნდა იყოს შვედეთის მოქალაქე და ჩაბარებული ჰქონდეს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა.

შვედეთის კონსტიტუციის თანახმად, **მოსამართლეებს ნიშნავს მთავრობა.** 2011 წლიდან მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის პროცესს წარმართავს სპეციალური ორგანო (*Judges Proposals Board*), რომელიც კანდიდატებს წარუდგენს მთავრობას.[95] მთავრობა არ არის შებოჭილი ამ რეკომენდაციით, მაგრამ, თუ სხვა კანდიდატის დანიშვნას გეგმავს, საბჭოს ეძლევა ამ კანდიდატზე მოსაზრებების წარდგენის შესაძლებლობა.

საბჭო უზენაეს სასამართლოში ვაკანტურ თანამდებობაზე ინფორმაციას საჯაროდ ავრცელებს და დაინტერესებული კანდიდატები ავსებენ წერილობით განაცხადს. პროცედურების თანახმად, ეს ორგანო ყოველ ინდივიდუალურ შემთხვევაში წყვეტს ტესტირებისა და გასაუბრების საჭიროებას[96] (Judges Proposals Board, 2021). როგორც წესი, სასამართლოს ხელმძღვანელი ატარებს

88. Courts of Justice Act, section 55(c), იხ: https://bit.ly/3q7HMAu

89. The proposition (bill) to the Storting – Ot.prp.nr. 44 (2000 – 2001) გვ. 191, იხ: https://bit.ly/3nWczxi

90. იქვე, გვ.189.

91. Complaints and views on the Judicial Appointments Board activities, იხ: https://bit.ly/3wnk6ZR; Public Administration Act, Section 55, section 3, იხ: https://lovdata.no/dokument/NLE/lov/1967-02-10

92. The Constitution of the Kingdom of Norway article 86 first paragraph read in conjunction with article 21. See also Act relating to punishment for offences indicted before the Court of Impeachement art. 11.

93. The Constitution of the Kingdom of Norway article 15.

94. Instrument of Government (1974:152), Chapter 11, Article 1, იხ: https://bit.ly/3BLaxFl

95. Act [2010:1390], Section 2

96. Judges Proposals Board, 2021, იხ: https://bit.ly/3EJgJ2h

კანდიდატებთან გასაუბრებას და კომენტარებს წარუდგენს საბჭოს. თუ კონკურსის მიზანია სასამართლოს პრეზიდენტის შერჩევა, გასაუბრებას საბჭო წარმათავს. ეს პროცესი არ არის საჯარო, თუმცა საბჭოს შეუძლია, გასაუბრებაზე მოიწვიოს ექსპერტი, რომელიც თავის მოსაზრებებს წარადგენს კანდიდატის შესახებ. შიდა წესების თანახმად, საბჭო ერთი პოზიციისათვის არჩევს, სულ მცირე, 3 კანდიდატს და წარუდგენს მთავრობას. წარდგინებაზე გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

საბჭო დამოუკიდებელი ორგანოა, რომელიც შედგება 4 წლის ვადით დანიშნული 9 წევრისგან. მათგან 2-ს ირჩევს პარლამენტი, ხოლო 7-ს ნიშნავს მთავრობა. წევრებს შორის 5 უვადოდ დანიშნული მოსამართლეა, 1 - იურისტი და 1- ადვოკატი.[97]

97. These two candidates are appointed to the Board following proposals from state authorities and organizations (the Swedish Agency for Government Employers, the Swedish Association of Local Authorities and Regions, and the Swedish Bar Association).

დასკვნა

მართლმსაჯულების რეფორმა გარდამავალი დემოკრატიის ქვეყნებში მტკივნეული და ხანგრძლივი პროცესია. ხელისუფლების ყველა სხვა შტოსგან დამოუკიდებელი და, ამავდროულად, კომპეტენტური სასამართლო სისტემის ჩამოყალიბება არსებითი წინაპირობაა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში პროგრესის მისაღწევად.

ხარისხიანი მართლმსაჯულება სასიცოცხლოდ აუცილებელია როგორც ქვეყნის შიგნით (მოქალაქეებისთვის), ასევე სახელმწიფოს იმიჯის ჩამოსაყალიბებლად და საერთაშორისო ორგანიზაციებში სრულფასოვანი გაწევრიანებისთვის. ამდენად, რეფორმის განხორციელებისას, მნიშვნელოვანია სხვა ქვეყნების საუკეთესო გამოცდილების გათვალისწინება.

ქვეყანა	უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა დანიშვნის წესი	კრიტერიუმები	სამართლის სისტემა	მმართველობის ფორმა
ავსტრია	მოსამართლეებს ნიშნავს ქვეყნის პრეზიდენტი, იუსტიციის მინისტრის წარდგინებით. მინისტრს კანდიდატებს რეკომენდაციის სახით წარუდგენს სპეციალური ორგანო (Personnel Panel).	მოწმდება სოციალური და პროფესიული უნარები; გათვალისწინებულია რეგიონული წარმომადგენლობა და გენდერული თანასწორობა.	Civil Law	საპარლამენტო რესპუბლიკა
ბელგია	მოსამართლეებს ნიშნავს მეფე, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წარდგინებით.	არის ბელგიის მოქალაქე და საუბრობს ერთ-ერთ სახელმწიფო ენაზე; არ არის ნასამართლევი; აქვს აკადემიური განათლება სამართლის განხრით; აქვს სამართლის სფეროში მუშაობის, სულ მცირე, 15-წლიანი გამოცდილება; აქვს მოსამართლედ ან პროკურორად მუშაობის 10-წლიანი გამოცდილება; გენდერული კვოტები დაწესებული არ არის.	Civil Law	კონსტიტუციური მონარქია
ბულგარეთი	მოსამართლეებს 7 წლის ვადით ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი, იუსტიციის უმაღლესი საბჭოს პლენუმის წარდგინებით.	ფასდება პროფესიული უნარები და მორალური კეთილსინდისიერება.	Civil Law	საპარლამენტო რესპუბლიკა
გაერთი-ანებული სამეფო	მოსამართლის დასანიშნად იქმნება დამოუკიდებელი კომისია, რომელმაც უნდა გაითვალისწინოს Lord Chancellor-ის მითითებები. თუ Lord Chancellor-სთვის კანდიდატი მისაღებია, მისი მონაცემები ეგზავნება პრემიერმინისტრს, რომელიც, თავის მხრივ, რეკომენდაციას უწევს დედოფალს კანდიდატის დანიშვნაზე. დანიშვნის ბრძანებას (letters patent) დედოფალი გამოსცემს.	კანდიდატს აქვს: სამართალში პრაქტიკული მუშაობის, სულ მცირე, 15-წლიანი გამოცდილება; სასამართლოში მაღალ თანამდებობაზე (high judicial office) მუშაობის, სულ მცირე, 2-წლიანი გამოცდილება.	Common Law	კონსტიტუციური მონარქია

ქვეყანა	უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა დანიშვნის წესი	კრიტერიუმები	სამართლის სისტემა	მმართველობის ფორმა
დანია	უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს, როგორც ყველა სხვა მოსამართლეს, ნიშნავს იუსტიციის მინისტრი, დამოუკიდებელი საბჭოს (Judicial Appointments Council) რეკომენდაციით.	კანდიდატი აბარებს წერილობით გამოცდას, რომელსაც ამოწმებენ მოსამართლეები.	Civil Law	კონსტიტუციური მონარქია
ესპანეთი	უზენაესი სასამართლოს პრეზიდენტს ირჩევს იუსტიციის საბჭო (General Council for the Judiciary). პრეზიდენტის მსგავსად, მოსამართლეთა ნომინირებაც საბჭოს კომპეტენციაა, შემდეგ კი მათ ნიშნავს მონარქი.	პრაქტიკის თანახმად: 5-დან ერთი მოსამართლე ცნობილი იურისტია, 15-წლიანი გამოცდილებით; 4-ს ირჩევენ სამოსამართლო კორპუსიდან და უნდა ჰქონდეთ, სულ მცირე, 15-წლიანი სამოსამართლო გამოცდილება, საიდანაც 10 წელი ეთმობა მაგისტრ მოსამართლედ მუშაობას.	Civil Law	კონსტიტუციური მონარქია
ესტონეთი	უზენაესი სასამართლოს თავმჯომარეს ნიშნავს ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო, პრეზიდენტის წარდგინებით და 9 წლის ვადით. თავად უზენაესი სასამართლოს წევრებს კი, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის წარდგინებით, ირჩევს უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო.	არის ესტონეთის მოქალაქე; დასრულებული აქვს აკადემიური სწავლების სამართლის პროგრამა; მაღალ დონეზე ფლობს ესტონურ ენას; გამოირჩევა მაღალი მორალური თვისებებით.	Civil Law	საპარლამენტო რესპუბლიკა
ირლანდია	ირლანდიის პრეზიდენტი, მთავრობის წარდგინების საფუძველზე, ნიშნავს მოსამართლეებს. ამავდროულად, უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო (Oireachtas) იტოვებს უფლებამოსილებას, მთავრობას დასანიშნად წარუდგინოს პირი, რომელსაც არ მიუმართავს საბჭოსთვის და რომელიც არ განუხილავს საბჭოს.	კანდიდატი არის: სააპელაციო სასამართლოს თავმჯდომარე ან/და მოსამართლე; უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ან/და მოსამართლე; რაიონული სასამართლოს მოსამართლე, რომელიც ამ სასამართლოში მსახურობდა არანაკლებ 2 წლის განმავლობაში;	Common Law	საპარლამენტო რესპუბლიკა

ქვეყანა	უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა დანიშვნის წესი	კრიტერიუმები	სამართლის სისტემა	მმართველობის ფორმა
		პირი, რომელიც დანიშვნამდე 2 წლის განმავლობაში იყო: მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს მოსამართლე ან გენერალური ადვოკატი; ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლე; მართლმსაჯულების საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლე; სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლე; ან საერთაშორისო ტრიბუნალის მოსამართლე.		
იტალია	მოსამართლეებს ნიშნავს იუსტიციის უმაღლესი საბჭო, შეფასების კომიტეტის მიერ წარდგენილ კანდიდატთა სიაზე მსჯელობის შემდეგ.	კანდიდატთა სია დგება მიღწევების, ასაკის, პროფესიული შესაძლებლობის, შრომისმოყვარეობის, უნარებისა და გამოქვეყნებული ნაშრომების გათვალისწინებით.	Civil Law	საპარლამენტო რესპუბლიკა
კანადა	კანადაში დამოუკიდებელი ორგანო (Independent Advisory Board for Supreme Court of Canada Appointments) შეარჩევს უზენაეს სასამართლოში დასანიშნ პირს და რეკომენდაციის სახით წარუდგენს პრემიერმინისტრს.	კანდიდატი არის: მოქმედი/ყოფილი მოსამართლე; ან მოქმედი/ყოფილი ადვოკატი, სულ მცირე, 10-წლიანი პრაქტიკული გამოცდილებით.	Common Law	კონსტიტუციური მონარქია
კვიპროსი	უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს ნიშნავს ქვეყნის პრეზიდენტი.	აქვს სამართლის განხრით მუშაობის 12-წლიანი გამოცდილება (მათ შორის, სამოსამართლო პრაქტიკა); გამოირჩევა პროფესიული ეთიკით; აქვს შესაბამისი ასაკი და გამოცდილება.	Common Law	საპრეზიდენტო რესპუბლიკა

ქვეყანა	უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა დანიშვნის წესი	კრიტერიუმები	სამართლის სისტემა	მმართველობის ფორმა
ლატვია	უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს ირჩევს პარლამენტი (უვადოდ).	კანდიდატი არის: რაიონული (საქალაქო ან რეგიონული სასამართლოს მოსამართლე, არანაკლებ 10-წლიანი გამოცდილებით; პირი, რომელიც 15 წლის განმავლობაში ეწევა საგანმანათლებლო მოღვაწეობას სამართლის სფეროში და საქმიანობს როგორც ადვოკატი, ან პროკურორი; საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი წევრი; ან საერთაშორისო სასამართლოს მოსამართლე.	Civil Law	საპარლამენტო რესპუბლიკა
ლიეტუვა	უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებსა და პრეზიდენტს ნიშნავს და ათავისუფლებს პარლამენტი, ქვეყნის პრეზიდენტის წარდგინების საფუძველზე. თავის მხრივ, პრეზიდენტს კანდიდატებზე რეკომენდაციას უწევს სპეციალური ორგანო (Board of Judges).	არის ლიეტუვას მოქალაქე; აქვს კარგი რეპუტაცია; აკმაყოფილებს სპეციალურ შემოწმებას; დარეგისტრირებულია მოსამართლეობის მსურველთა სიაში, ან აქვს დოქტორის ხარისხი სოციალურ მეცნიერებაში და მოსამართლედ ან სამართლის პედაგოგად მუშაობის 10-წლიანი გამოცდილება; წარდგენილი აქვს სამედიცინო ცნობა.	Civil Law	საპარლამენტო რესპუბლიკა
ჩრდილოეთ მაკედონია	უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებსა და თავმჯდომარეს ნიშნავს იუსტიციის უმაღლესი საბჭო.	აქვს სააპელაციო სასამართლოში მოსამართლედ მუშაობის არანაკლებ 6-წლიანი გამოცდილება და იუსტიციის საბჭომ შეაფასა დადებითად; აქვს უმაღლესი საექსპერტო და პროფესიული კვალიფიკაცია, კარგ რეპუტაციასთან ერთად; გადაწყვეტილების მიღებისას, საბჭო ითვალისწინებს შემდეგ საკითხებსაც:	Civil Law	საპარლამენტო რესპუბლიკა

ქვეყანა	უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა დანიშვნის წესი	კრიტერიუმები	სამართლის სისტემა	მმართველობის ფორმა
		კანდიდატის ჩართულობა უწყვეტი განათლების პროცესში და სამოსამართლო საქმიანობის ხანგრძლივობა; წერილობითი და ზეპირი კომუნიკაციის უნარები, რაც ფასდება გადაწყვეტილებების მიხედვით; დამატებითი სამუშაოს შესრულება საქმეთა გადატვირთულობის ასაცილებლად ან/და მენტორობისა და სწავლების მიმართულებით.		
ნორვეგია	საბჭოს (Judicial Appointments Board for Judges) წარდგინების საფუძველზე, მოსამართლეებს ნიშნავს კაბინეტი.	არის ნორვეგიის მოქალაქე; სულ მცირე, 30 წლის; აქვს სამართლის ხარისხი; გამოირჩევა პროფესიონალიზმითა და პიროვნული მახასიათებლებით.	Civil Law	კონსტიტუციური მონარქია
პოლონეთი	პოლონეთის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ინიშნება პრეზიდენტის მიერ. იუსტიციის ეროვნული საბჭოს წარდგინებით პრეზიდენტი ნიშნავს უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს.	აქვს მხოლოდ პოლონეთის მოქალაქეობა; არ არის ნასამართლევი ან პირობით გათავისუფლებული განზრახ დანაშაულის ჩადენისთვის; უკვე მიაღწია 40 წლის ასაკს; კომუნიკაბელურია და ფლობს სათანადო სოციალურ უნარებს; აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება; გამოირჩევა მაღალი პროფესიული ცოდნით; აქვს შესაბამისი ჯანმრთელობის მდგომარეობა; აქვს კანონით გათვალისწინებულ თანამდებობებზე მუშაობის, სულ მცირე, 10-წლიანი გამოცდილება; არ უმუშავია ან არ უთანამშრომლია სახელმწიფო უსაფრთხოების იმ ორგანოებთან, რომლებიც მითითებულია სპეციალურ კანონში.	Civil Law	საპრეზიდენტო რესპუბლიკა

ქვეყანა	უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა დანიშვნის წესი	კრიტერიუმები	სამართლის სისტემა	მმართველობის ფორმა
პორტუგალია	სპეციალური ორგანო (Supreme Judicial Council) ატარებს კონკურსს და დანიშვნაზე გადაწყვეტილებას იღებს ხმათა უმრავლესობით. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ადმინისტრაციული წესით.	არის მეორე ინსტანციის მოსამართლე ან სახელმწიფო წარმომადგენელი (Assistant Attorney Generals), ან ცნობილი იურისტი; გათვალისწინებულია კანდიდატთა გამოცდილება და მათ მიერ შესრულებული სამეცნიერო ნაშრომები.	Civil Law	საპრეზიდენტო რესპუბლიკა
რუმინეთი	მოსამართლეებს ნიშნავს პრეზიდენტი, მაგისტრთა საბჭოს (Superior Council of Magistracy) წარდგინებით.	აქვს მოსამართლედ (seniority in magistrature) მუშაობის 12-წლიანი გამოცდილება; არის საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე; არის იურიდიული ფაკულტეტის პროფესორი ან მკვლევარი კვლევით ორგანიზაციაში; ან არის იუსტიციის მინისტრის მრჩეველი.	Civil Law	საპრეზიდენტო რესპუბლიკა
საბერძნეთი	უზენაეს სასამართლოში მოსამართლის თანამდებობაზე პირს აწინაურებს პრეზიდენტი, უმაღლესი სასამართლო საბჭოს წარდგინების საფუძველზე. უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის შერჩევის პროცედურაში მონაწილეობენ: იუსტიციის მინისტრი, პარლამენტის პრეზიდენტთა კონფერენცია და კაბინეტი.	აქვს სათანადო კვალიფიკაცია, მათ შორის, შემდეგი მახასიათებლები: ეთიკურობა; ენერგიულობა; განსჯის უნარი; კვალიფიციური შესრულება; სამეცნიერო და სოციალური მზაობა.	Civil Law	საპარლამენტო რესპუბლიკა
საფრანგეთი	მოსამართლეები (conseillers/justices) პრეზიდენტის დეკრეტით ინიშნებიან. პრეზიდენტს კანდიდატებს იუსტიციის საბჭო (Conseil supérieur de la magistrature) წარუდგენს.	როგორც წესი, კანდიდატებს სამოსამართლო კორპუსიდან ირჩევენ, თუმცა, ასევე ინიშნებიან სამართლის პროფესორები და სამთავრობო საბჭოს იურისტებიც (Conseil d'Etat).	Civil Law	საპრეზიდენტო რესპუბლიკა
სლოვაკეთი	უზენაესი სასამართლოს პრეზიდენტსა და მოსამართლეებს ნიშნავს ქვეყნის პრეზიდენტი, საბჭოს (Judicial Council) წარდგინებით.	არის სამართლის მაგისტრი; აქვს სრული ქმედუნარიანობა; არ არის ნასამართლევი; არის სლოვაკეთის მუდმივი მაცხოვრებელი; აქვს სულ მცირე, 15-წლიანი მუშაობის გამოცდილება სამართლის სფეროში. არის არანაკლებ 30 წლის.	Civil Law	საპარლამენტო რესპუბლიკა

ქვეყანა	უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა დანიშვნის წესი	კრიტერიუმები	სამართლის სისტემა	მმართველობის ფორმა
უნგრეთი	მოსამართლეებს ნიშნავს რესპუბლიკის პრეზიდენტი.	არის უნგრეთის ქმედუნარიანი მოქალაქე, არანაკლებ 30 წლის; აქვს უმაღლესი იურიდიული განათლება და საადვოკატო გამოცდის ჩაბარების სერტიფიკატი; აქვს კანონით განსაზღვრულ თანამდებობაზე მუშაობის, სულ მცირე, ერთწლიანი გამოცდილება; ჩაბარებული აქვს პროფესიული უნარების გამოცდა, რომელიც მოიცავს სამედიცინო (ფიზიკურ და ფსიქიატრიულ) შემოწმებასაც.	Civil Law	საპარლამენტო რესპუბლიკა
ფინეთი	უზენაესი სასამართლო მოსამართლეთა დასანიშნად წინადადებას წარუდგენს მთავრობას, რომელიც, თავის მხრივ, კანდიდატებს წარუდგენს ქვეყნის პრეზიდენტს. ფინეთის პრეზიდენტი სასამართლოს პრეზიდენტს ნიშნავს წარდგინების გარეშე.	არის ფინეთის მოქალაქე; არის სამართლის მაგისტრი; აქვს სასამართლოში ან რელევანტურ სფეროში მუშაობის გამოცდილება.	Civil Law	საპარლამენტო რესპუბლიკა
ჩეხეთი	უზენაესი სასამართლოს მოსამართლეებს ნიშნავს ქვეყნის პრეზიდენტი.	არის ჩეხეთის მოქალაქე; არის სამართლის მაგისტრი; აქვს სრული ქმედუნარიანობა; არ არის ნასამართლევი; აქვს გამორჩეული მორალური და პროფესიული თვისებები; ჩაბარებული აქვს სამოსამართლო გამოცდა; არის არანაკლებ 30 წლის; აქვს სამართლის სფეროში მუშაობის, სულ მცირე, 10-წლიანი გამოცდილება.	Civil Law	საპარლამენტო რესპუბლიკა
შვედეთი	მოსამართლეთა უვადოდ დანიშვნის პროცესს წარმართავს სპეციალური ორგანო (Judges Proposals Board) და კანდიდატებს დასანიშნად წარუდგენს მთავრობას.	აქვს უვადო მოსამართლედ მუშაობის გამოცდილება; უვადოდ გამწესებული მოსამართლე შვედეთის მოქალაქეა და ჩაბარებული აქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა.	Civil Law	კონსტიტუციური მონარქია

ქვეყანა	უზენაეს სასამართლოში მოსამართლეთა დანიშვნის წესი	კრიტერიუმები	სამართლის სისტემა	მმართველობის ფორმა
ხორვატია	უზენაესი სასამართლოს პრეზიდენტს ირჩევს პარლამენტი, ქვეყნის პრეზიდენტის წარდგინებით და სპეციალური ორგანოს (General Convention of Judges of the Supreme Court) დასკვნის საფუძველზე.	აქვს მოსამართლედ ან ადვოკატად მუშაობის, სულ მცირე, 15-წლიანი გამოცდილება; არის უნივერსიტეტის პროფესორი ან სამართლის მკვლევარი; არის გამორჩეული იურისტი, რომელსაც ჩაბარებული აქვს საადვოკატო გამოცდა; აქვს, სულ მცირე, 20-წლიანი გამოცდილება და გამოირჩევა თავისი პროფესიონალიზმითა და ნაშრომებით.	Civil Law	საპარლამენტო რესპუბლიკა